საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №65/ნ

2011 წლის 4 მაისი

ქ. თბილისი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 30-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და „ნ^{3}“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 28 მარტის ბრძანება №40/ნ - ვებგვერდი, 29.03.2018წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 24 აპრილის ბრძანება №49/ნ - ვებგვერდი, 24.04..2018წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 31 მაისის ბრძანება №93/ნ - ვებგვერდი, 03.06.2024წ.

1. დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება დანართი №1-ის შესაბამისად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

2. დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საფასური დანართი №2-ის შესაბამისად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

2^{1}. დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 01.02.2018წ.

2^{2}. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ამ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (დანართი №1) შესაბამისად გაწეული მომსახურების საფასური დანართი №4-ის შესაბამისად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 28 მარტის ბრძანება №40/ნ - ვებგვერდი, 29.03.2018წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

2^{3}. დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერად დაჯგუფების წესი და პირობები დანართი №5-ის შესაბამისად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

2^{4}. დამტკიცდეს სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩოდოკუმენტი დანართი №6-ის შესაბამისად.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №141/ნ - ვებგვერდი, 30.08.2024წ.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშკინი

დანართი №1

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

დებულება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს დებულება ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (შემდგომ – დაწესებულებები) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების (შემდგომ – აკრედიტაციის სტანდარტები) დაკმაყოფილების პირობებს, აკრედიტაციის, აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის, უცხოური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარების პროცედურას, უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის წესსა და პროცედურას, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის და ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის წესსა და პირობებს, სააპელაციო საჩივრის განხილვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს, სააპელაციო საბჭოს უფლებამოსილებასა და საქმიანობის წესებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 9 მარტის ბრძანება № 20/ ნ - ვებგვერდი, 10.03.2015 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

მუხლი 2. აკრედიტაციის მიზანი და შინაარსი

1. აკრედიტაციის მიზანია დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის გზით, განათლების ხარისხის ასამაღლებლად დაწესებულების სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა.

2. აკრედიტაციის სტანდარტებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;
ბ) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;
გ) სტუდენტების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;
დ) სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;
ე) სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

2^1. ამ დებულების მიხედვით, აკრედიტაციის თითოეული სტანდარტი მოცემულია კომპონენტებად ჩაშლილი სახით.

3. აკრედიტაცია არის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გარე შეფასების მექანიზმი, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების მიზნით, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის გზით, ხელს უწყობს დაწესებულებაში სისტემატური თვითშეფასების პროცესის დამკვიდრებას და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებას. თვითშეფასებას ახორციელებს დაწესებულება საკუთარი საქმიანობის შეფასების წესის შესაბამისად და ადგენს აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ხოლო გარე შეფასებას – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომ – ცენტრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

მუხლი 2^1. ხარვეზის გამოსწორების ვადა

1. ამ დებულებით განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ხარვეზის გამოსასწორებლად ცენტრის მიერ დადგენილი ვადა შეადგენს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღეს.

2. ადმინისტრაციული წარმოებისთვის განსაზღვრული ვადის დინება შეჩერებულად ითვლება ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020 წ.

თავი II

(ამოღებულია)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

თავი III

(ამოღებულია)

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020 წ.

თავი IV
დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

მუხლი 13. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი №3-ით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 01.02.2018 წ .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

მუხლი 14. (ამოღებულია)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 01.02.2018 წ.

მუხლი 15. (ამოღებულია)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 01.02.2018 წ.

მუხლი 16. (ამოღებულია)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 01.02.2018 წ.

მუხლი 17. (ამოღებულია)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 01.02.2018 წ.

მუხლი 17^1. აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 9 მარტის ბრძანება № 20/ ნ - ვებგვერდი, 10.03.2015 წ.

მუხლი 17^2. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თავისებურებანი

უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/დაწესებულებებთან ერთად განსახორციელებელი ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) მიერ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის თაობაზე შემუშავებული მიდგომები.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.

მუხლი 17^3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თავისებურებანი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩოდოკუმენტით დადგენილი სპეციალური მოთხოვნები.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №141/ნ - ვებგვერდი, 30.08.2024წ.

მუხლი 18. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თავისებურებანი

რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი სპეციალური მოთხოვნები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №49/ნ - ვებგვერდი, 23.02.2012 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №194/ნ - ვებგვერდი, 20.09.2012 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 17 დეკემბრის ბრძანება №248/ნ - ვებგვერდი, 18.12.2012 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №96/ნ - ვებგვერდი, 11.09.2020 წ.

მუხლი 18[1]. (ამოღებულია - 17.12.2012, №248/ნ)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №194/ნ - ვებგვერდი, 20.09.2012 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 17 დეკემბრის ბრძანება №248/ნ - ვებგვერდი, 18.12.2012 წ.

თავი V
აკრედიტაციის ჩატარების წესი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017წ.

მუხლი 19. აკრედიტაციის პროცესი

1. აკრედიტაციის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა;
ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის თაობაზე დაწესებულების მაძიებლად (შემდგომ – აკრედიტაციის მაძიებელი) ცნობა;
გ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა;
დ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკრედიტაციის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლა და სააკრედიტაციო ვიზიტის დღის წესრიგის შემუშავება;
ე) სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელება;
ვ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის შედგენა და ცენტრში წარდგენა;
ზ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის აკრედიტაციის მაძიებლისთვის გაცნობა;
თ) აკრედიტაციის მაძიებლის მიერ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში წარდგენა;
ი) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბება და ცენტრში წარდგენა;
კ) აკრედიტაციის მაძიებლისთვის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობა;
ლ) სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომ – საბჭო) წევრებისთვის გაგზავნა;
მ) აკრედიტაციის საკითხზე ზეპირი მოსმენის გამართვა და საგანმანათლებლო პროგრამების საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება;
ნ) ცენტრის მიერ საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოქვეყნება.

2. საბჭოს მიერ აკრედიტაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება აკრედიტაციის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ცენტრში ოფიციალურად წარდგენიდან 180 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. აკრედიტაციის პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით, რომლის მართვისა და გამოყენების წესი მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

მუხლი 19[1]. აკრედიტაციის პროცესისთვის მოსამზადებელი შეხვედრა

1. სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენამდე არანაკლებ 1 თვით ადრე დაწესებულება უფლებამოსილია, წერილობით მიმართოს ცენტრს აკრედიტაციის პროცესისთვის მოსამზადებელი შეხვედრის განხორციელების თხოვნით.

2. მოსამზადებელ შეხვედრას აქვს საკონსულტაციო ხასიათი და შეეხება:

ა) თვითშეფასების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას;

ბ) სააკრედიტაციო ვიზიტის დაგეგმვასა და განხორციელებას;

გ) აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების განმარტებას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოიცემა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აკრედიტაციის პროცესისთვის მოსამზადებელი შეხვედრის განხორციელებაზე უფლებამოსილი ცენტრის თანამშრომლის/თანამშრომლების განსაზღვრისა და მოსამზადებელი შეხვედრის ჩატარების შესახებ. აკრედიტაციის პროცესისთვის მოსამზადებელი შეხვედრა შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ აკრედიტაციის პროცესისათვის მოსამზადებელი შეხვედრის შემდეგ დგება წერილობითი ოქმი, რომელშიც აისახება ინფორმაცია გაწეული კონსულტაციის შესახებ. დაწესებულება ვალდებულია, ხელი შეუწყოს აკრედიტაციის პროცესისათვის მოსამზადებელი შეხვედრის განხორციელებასა და შესაბამისი ოქმის მომზადებას, აგრეთვე გამოყოს უფლებამოსილი პირი, რომელიც დაწესებულების სახელით ხელს მოაწერს აკრედიტაციის პროცესისათვის მოსამზადებელი შეხვედრის ოქმს. ცენტრის მხრიდან ოქმს ხელს აწერს ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცენტრის თანამშრომელი/თანამშრომლები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

მუხლი 20. სააკრედიტაციო განაცხადი

1. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის მიზნით ცენტრში წარდგენილ სააკრედიტაციო განაცხადს უნდა დაერთოს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამისათვის/საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერისთვის შედგენილი აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და მასზე დასართავი დოკუმენტაცია;

ბ) სააკრედიტაციო განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენის შემთხვევაში, საერთაშორისო ხელშეკრულება ან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) მიერ გაცემული თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის წარდგენის შემთხვევაში, ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება და ხელშეკრულების პროექტის ცენტრთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ერთი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით, ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა დასაშვებია თუ:

ა) დაწესებულება „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამის სწავლის სფეროში ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის დაჯგუფება ვერ ხერხდება სხვა საგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან ამ ბრძანების დანართი №5-ის შესაბამისად;

ბ) დაწესებულება, პირველი აკრედიტაციის მიზნით, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამაზე წარადგენს სააკრედიტაციო განაცხადს;

გ) დაწესებულება აკრედიტაციის მიზნით, ცენტრში წარადგენს პირობითი აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო პროგრამას;

დ) დაწესებულება აკრედიტაციის მიზნით, ცენტრში წარადგენს დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამას ან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას;

ე) დაწესებულება აკრედიტაციის მიზნით, ცენტრში წარადგენს ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას.

3. საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მიზნით, ცენტრში წარდგენილი ერთი სააკრედიტაციო განაცხადი ითვალისწინებს

არაუმეტეს რვა საგანმანათლებლო პროგრამას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერად დაჯგუფების წესი და პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი №5-ის შესაბამისად.

5. სააკრედიტაციოდ წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგების მიხედვით გადის მხოლოდ ერთ კვალიფიკაციაზე. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთი სააკრედიტაციო განაცხადი ითვალისწინებს:

ა) მაგისტრატურის ისეთ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც სწავლის შედეგების მიხედვით გადის სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ერთი და იმავე დეტალური სფეროს ფარგლებში არსებული სწავლის სფეროების გათვალისწინებით, ერთზე მეტ, მაგრამ არაუმეტეს სამ კვალიფიკაციაზე, გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამისა;

ბ) მასწავლებლის მომზადების ისეთ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც სწავლის შედეგების მიხედვით ითვალისწინებს მასწავლებლის მომზადების დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი რაოდენობის ფარგლებში საგნების სწავლების მეთოდიკის მოდულების სწავლებას.

6. დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამის ყოველი მომდევნო აკრედიტაციისას, საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის უწყვეტობის მიზნით, ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენისას უნდა გაითვალისწინოს ამ დებულების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტითა და 22-ე მუხლით დადგენილი ვადები იმგვარად, რომ საბჭოს მიერ აკრედიტაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მისაღებად განსაზღვრული 180 კალენდარული დღე დაეთმოს ამ დებულების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ“-„ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აკრედიტაციის პროცესის ეტაპების განხორციელებას. აღნიშნულის გაუთვალისწინებლობით გამოწვეულ შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულებას.

7. (ამოღებულია - 25.02.2025, №5/ნ).

8. (ამოღებულია - 25.02.2025, №5/ნ).

9. (ამოღებულია - 25.02.2025, №5/ნ).

10. (ამოღებულია - 25.02.2025, №5/ნ).

11. (ძალადაკარგულია - 07.07.2022, №83/ნ).

12. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფში საერთაშორისო ექსპერტის/ექსპერტების მონაწილეობის შემთხვევაში, დაწესებულება უფლებამოსილია, ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენისას ან ცენტრთან წერილობით შეთანხმებულ ვადაში, ინგლისურ ენაზე თავად წარადგინოს ცენტრში ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრედიტაციის თვითშეფასების შევსებული ანგარიშის და მასზე დასართავი იმ დოკუმენტაციის თარგმანი, რომელთა ინგლისურ ენაზე თარგმნის მოთხოვნაც მითითებულია აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის დამტკიცებულ ფორმაში.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დოკუმენტაციის თარგმანის სისწორესა და ავთენტურობაზე პასუხისმგებელია დაწესებულება. თუ აკრედიტაციის პროცესში გამოიკვეთა თარგმანთან დაკავშირებული ხარვეზი, რომელიც გავლენას ახდენს დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენაზე, ცენტრი უფლებამოსილია, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. სხვა შემთხვევაში, დოკუმენტების ქართულ და ინგლისურენოვან ტექსტებს შორის განსხვავებისას, უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ტექსტს.

14. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფში საერთაშორისო ექსპერტის/ექსპერტების მონაწილეობის შემთხვევაში, დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე, ცენტრი ამ ბრძანების დანართი №2-ით განსაზღვრული თანხის გადახდის შემთხვევაში, უზრუნველყოფს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრედიტაციის თვითშეფასების შევსებული ანგარიშისა და მასზე თანდართული იმ დოკუმენტების ინგლისურენოვან თარგმანს, რომელთა ინგლისურ ენაზე არსებობის მოთხოვნის შესახებ დათქმა მითითებულია აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის დამტკიცებულ ფორმაში.

15. ამ მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მთარგმნელობითი მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნით, ცენტრი თარგმანს უგზავნის დაწესებულებას. დაწესებულება უფლებამოსილია აცნობოს ცენტრს თარგმანთან დაკავშირებული მოტივირებული შენიშვნები, ამ დოკუმენტაციის მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ დაწესებულებას არ გააჩნია შენიშვნა თარგმანთან დაკავშირებით.

16. საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის მიზნით, ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა ხორციელდება წელიწადში ორჯერ – იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის ვადა ეწურება პირველი იანვრიდან პირველი ივლისის ჩათვლით, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა ხორციელდება წინა წლის პირველი ივლისიდან პირველი ნოემბრის ჩათვლით, ხოლო თუ საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის ვადა ეწურება კალენდარული წლის 2 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა ხორციელდება წინა წლის პირველი დეკემბრიდან მიმდინარე წლის პირველი მაისის ჩათვლით.

17. ამ მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი სააკრედიტაციო განაცხადის ცენტრში წარდგენის ვადები არ ვრცელდება:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების პირველი აკრედიტაციის მიზნით ცენტრში წარდგენილ სააკრედიტაციო განაცხადზე;

ბ) პირობით აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარდგენილ სააკრედიტაციო განაცხადებზე;

გ) უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ცენტრში წარდგენილ სააკრედიტაციო განაცხადებზე.

18. ცენტრში ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია შესაძლებელია წარდგენილ იქნეს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით ან მატერიალური სახით, რა დროსაც აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშზე დასართავი დოკუმენტაცია ცენტრს წარედგინება ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის მეშვეობით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 01.02.2018 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 28 მარტის ბრძანება №40/ნ - ვებგვერდი, 29.03.2018 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №96/ნ - ვებგვერდი, 11.09.2020 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი, 12.02.2024წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.

მუხლი 21. თვითშეფასება

1. თვითშეფასების მიზანია აკრედიტაციის მისაღებად საგანმანათლებლო პროგრამის/ საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის მზაობის შეფასება.

2. თვითშეფასება ხდება აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.

3. თვითშეფასების შედეგები აისახება აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში.

4. საგანმანათლებლო პროგრამის და საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის ფორმები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

მუხლი 22. აკრედიტაციის მაძიებლად ცნობა

1. ცენტრი 3 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მიზნით სააკრედიტაციო განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში – 7 სამუშაო დღის

ვადაში ამოწმებს სააკრედიტაციო განაცხადზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან.

2. თუ დაწესებულება ცენტრს არ წარუდგენს ამ დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე დოკუმენტს, ცენტრი დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აკრედიტაციის მაძიებლად ცნობის შესახებ, ხოლო ამავე ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში – ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.

4. ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აკრედიტაციის მაძიებლად ცნობის შესახებ გამოიცემა განაცხადის წარმოდგენიდან ან ხარვეზის გამოსწორებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში.

4^1. დაწესებულება უფლებამოსილია ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, ცენტრში ერთჯერადად წარადგინოს ცვლილებები თვითშეფასების ანგარიშში ასახულ ინფორმაციასთან ან/და თანდართულ დოკუმენტებთან დაკავშირებით. ამასთან, თუ ცვლილება ითვალისწინებს რომელიმე დოკუმენტის ჩანაცვლების აუცილებლობას, აღნიშნულ დოკუმენტთან ერთად დაწესებულებამ უნდა წარადგინოს ცვლილებების წერილობითი აღწერა/განმარტება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ დაუშვებელია თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაციის ცვლილება.

4^2. ამ მუხლის 4^1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში განხორციელებული ცვლილება მხედველობაში არ მიიღება.

5. თუ აკრედიტაციის მაძიებელი მაძიებლად ცნობის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში არ გადაიხდის აკრედიტაციის საფასურს და ამავე ვადაში ცენტრში არ წარმოადგენს აკრედიტაციის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №96/ნ - ვებგვერდი, 11.09.2020 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.

მუხლი 23. აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი

1. აკრედიტაციის ექსპერტი არ შეიძლება იყოს ცენტრის თანამშრომელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ცენტრში დასაქმებულია 3 თვეზე ნაკლები ვადით, კონკრეტული მოცულობის საექსპერტო სამუშაოს შესასრულებლად.

2. აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში წარმოდგენილნი უნდა იყვნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით.

3. აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 01.02.2018 წ.

მუხლი 24. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა

1. აკრედიტაციის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ცენტრში ოფიციალურად წარდგენიდან 70 კალენდარული დღის განმავლობაში ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და აკრედიტაციის მაძიებელ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ.

2. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები – სხვა დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, საერთაშორისო ექსპერტი (გარდა ამ დებულების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ინდივიდუალური ფორმით წარმოდგენილი – ქართულ ენაში მომზადების, მასწავლებლის მომზადების, სპეციალური მასწავლებლის მომზადებისა და ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისა) სტუდენტი, ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ დამსაქმებლები, რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში – ასევე შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ან/და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები და სხვა შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირები.

2[1]. (ამოღებულია - 07.07.2022, №83/ნ).

2[2]. იმ შემთხვევაში, როდესაც სააკრედიტაციო განაცხადით წარდგენილია ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელებაც იგეგმება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/დაწესებულებებთან ერთობლივი თანამშრომლობით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფში შედის/შედიან განმახორციელებელი ქვეყნის/ქვეყნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საერთაშორისო ექსპერტი/ექსპერტები.

2[3]. დაწესებულება უფლებამოსილია მიმართოს ცენტრს, ამ დებულების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ინდივიდუალური ფორმით წარმოდგენილი – მასწავლებლის მომზადების, სპეციალური მასწავლებლის მომზადებისა და ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფში საერთაშორისო ექსპერტის შეყვანის თხოვნით, რის შესახებაც დაწესებულება მიუთითებს სააკრედიტაციო განაცხადის წარმოდგენის შესახებ წერილში.

3. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე. იმ შემთხვევაში, თუკი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფში გათვალისწინებულია საერთაშორისო ექსპერტი, იგი განისაზღვრება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარედ.

3[1]. იმ შემთხვევაში, როდესაც საერთაშორისო ექსპერტი, როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დასკვნის პროექტის/დასკვნის შედგენის ეტაპზე, ვერ ახორციელებს მის ფუნქციებს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოვალეობა ეკისრება ამავე ჯგუფის რომელიმე სხვა ექსპერტს.

4. აკრედიტაციის ექსპერტი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება, თუ მას აქვს ინტერესთა კონფლიქტი აკრედიტაციის მაძიებელ იმ დაწესებულებასთან, რომელშიც უნდა განახორციელოს ვიზიტი.

5. აკრედიტაციის მაძიებელი დაწესებულება უფლებამოსილია, ცენტრში წარადგინოს აკრედიტაციის ექსპერტის/ექსპერტების აცილება ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

6. დაწესებულება ვალდებულია დაასაბუთოს აკრედიტაციის ექსპერტის/ექსპერტების აცილება. აცილების საფუძველი შეიძლება გახდეს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ან/და წევრის ინტერესთა კონფლიქტი.

7. ამ დებულების მიზნებისათვის ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით და/ან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობა.

8. ცენტრი აცილების განცხადებას განიხილავს 3 სამუშაო დღის ვადაში. აცილების განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

9. აკრედიტაციის ექსპერტის/ექსპერტების აცილების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი იმავე შემადგენლობით აგრძელებს საქმიანობას.

10. ვიზიტის ხანგრძლივობა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ცენტრის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და სპეციფიკის

გათვალისწინებით, აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის შესაბამისად.

11. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ეფექტიანად წარმართვისა და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვის მიზნით, ცენტრი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტზე მიავლენს ცენტრის თანამშრომელს/თანამშრომლებს.

12. საერთაშორისო ექსპერტის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ექსპერტთა ანაზღაურების წესის შესაბამისად, ცენტრსა და საერთაშორისო ექსპერტს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით და დაემატება აკრედიტაციის საფასურს.

13. ცენტრი დაწესებულებას უგზავნის საერთაშორისო ექსპერტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე შედგენილ ინვოისს. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ინვოისის მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში არ გადაიხდის საერთაშორისო ექსპერტის შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო თანხას და ამავე ვადაში არ წარმოადგენს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 01.02.2018 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 28 მარტის ბრძანება №40/ნ - ვებგვერდი, 29.03.2018 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 31 მაისის ბრძანება №93/ნ - ვებგვერდი, 03.06.2024წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.

მუხლი 25. აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის შეფასება

1. ცენტრი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს უგზავნის ამ დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და ,,დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას ამ დებულების 24-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ.

2. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თვითშეფასების შევსებული ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, უზრუნველყოფს ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილებას.

3. სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელებამდე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შეისწავლის თვითშეფასების შევსებულ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზეც შეიმუშავებს ვიზიტის დღის წესრიგს და წინასწარ ათანხმებს მას ცენტრთან. ცენტრი ვიზიტის დღის წესრიგის შეთანხმების პროცესში ითვალისწინებს დაწესებულების არგუმენტირებულ მოსაზრებებს. ცენტრი უგზავნის დაწესებულებას დღის წესრიგის საბოლოო ვერსიას.

4. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი სააკრედიტაციო ვიზიტამდე გამართული მოსამზადებელი შეხვედრ(ებ)ის ფარგლებში დასკვნის შესადგენად ადგენს ვიზიტის ფარგლებში დამატებით შესასწავლ საკითხებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.

მუხლი 26. სააკრედიტაციო ვიზიტი

1. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვიზიტის დროს უზრუნველყოფს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილებას.

2. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი მონაწილეობს ჯგუფის მუშაობაში, უზრუნველყოფს აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებას.

3. აკრედიტაციის ექსპერტი წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით ვალდებულია სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში შეისწავლოს ყველა საკითხი დასკვნის შესადგენად, მათ შორის, ჩაატაროს დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუირება, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, მოახდინოს ვიზუალური დათვალიერება და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს დღის წესრიგით გაუთვალისწინებელი აქტივობები.

4. (ამოღებულია - 10.09.2020, №96/ნ);

5. დაწესებულება ვალდებულია ხელი შეუწყოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელებასა და შესაბამისი დასკვნის მომზადებაში, წარუდგინოს მათ აკრედიტაციის მიზნებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და უზრუნველყოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილ პირებთან ინტერვიუირება.

5[1]. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფში საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობის შემთხვევაში, ცენტრი უზრუნველყოფს აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში საჭირო მთარგმნელობითი მომსახურების გაწევას. ცენტრმა თარჯიმნის შერჩევისას უნდა უზრუნველყოს აკრედიტაციის მაძიებელთან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება.

6. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის ბოლო დღეს აკრედიტაციის მაძიებელ დაწესებულებას წარუდგენს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ძირითად მიგნებებს.

7. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისათვის დაწესებულების მიერ მათი საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

8. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების ნაწილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ასევე განხორციელდეს დისტანციურად, ან ნახევრად დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

9. დისტანციურად ან ნახევრად დისტანციური ფორმით განხორციელებული შეფასების წესი და პირობები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 28 მარტის ბრძანება №40/ნ - ვებგვერდი, 29.03.2018 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №96/ნ - ვებგვერდი, 11.09.2020 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №135/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.

26[1]. ოთხდონიანი შეფასების სკალის განმარტება

1. საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ საგანმანათლებლო პროგრამა სრულად უზრუნველყოფს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

2. საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და დაწესებულებას შეუძლია შესაბამისი შედეგების დემონსტრირება. თუმცა, დაწესებულებას აქვს სუსტი მხარეები, რომელთა მოკლევადიან პერიოდში (არაუმეტეს 1 წელი) დასაძლევად მას აქვს მზაობა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.

3. საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ საგანმანათლებლო პროგრამა საბაზო დონეზე უზრუნველყოფს კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მას აქვს ისეთი სუსტი მხარეები, რომელთა დასაძლევადაც საჭიროა მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზება. თუმცა, დაწესებულებას აქვს მზაობა და საშუალოვადიან პერიოდში (1 წელზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 2 წელი)

სუსტი მხარეების დასაძლევად შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.

4. საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ საგანმანათლებლო პროგრამა ვერ უზრუნველყოფს მინიმუმ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ დონეზე სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 28 მარტის ბრძანება №40/ნ - ვებგვერდი, 29.03.2018წ.

მუხლი 27. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

1. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ფასდება ოთხდონიანი სკალის საშუალებით: „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან”, „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

2. საგანმანათლებლო პროგრამა „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ საგანმანათლებლო პროგრამა ამ სტანდარტის ყველა კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ან არაუმეტეს ერთ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო დანარჩენ კომპონენტებთან მიმართებით – როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. საგანმანათლებლო პროგრამა „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან”, თუ საგანმანათლებლო პროგრამა ამ სტანდარტის ერთზე მეტ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და ერთზე მეტ კომპონენტთან მიმართებით არ არის შეფასებული, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ამ სტანდარტის მხოლოდ ერთ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. მოცემულ შემთხვევებში, საგანმანათლებლო პროგრამა არცერთ სხვა კომპონენტთან მიმართებით არ არის შეფასებული, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. საგანმანათლებლო პროგრამა „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან”, თუ საგანმანათლებლო პროგრამა ამ სტანდარტის ერთზე მეტ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო არცერთ სხვა კომპონენტთან მიმართებით არ არის შეფასებული, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“;

5. საგანმანათლებლო პროგრამა „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან”, თუ საგანმანათლებლო პროგრამა ამ სტანდარტის ერთ-ერთ კომპონენტთან მიმართებით მაინც შეფასებულია, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 28 მარტის ბრძანება №40/ნ - ვებგვერდი, 29.03.2018წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.

მუხლი 27^1. დასკვნის მომზადება

1. თვითშეფასების შევსებული ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისა და სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგად დგება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს.

2. დასკვნის პროექტი აღწერს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან.

3. ცენტრი ადგენს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების 23-ე მუხლის მე-3 და ამ მუხლის მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში დასკვნის პროექტი ეგზავნება დაწესებულებას.

4. საჭიროების შემთხვევაში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის

პროექტი.

5. აკრედიტაციის მაძიებელი საგანმანათლებლო პროგრამაზე დასკვნის პროექტის გაცნობიდან 5 სამუშაო დღის, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შემთხვევაში - 10 სამუშაო დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს და საბჭოს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს.

6[1]. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული დასკვნა მოიცავს ინფორმაციას ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე.

7. ექსპერტთა ჯგუფში საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობის შემთხვევაში, ცენტრი უზრუნველყოფს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტისა და დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებისათვის საჭირო მთარგმნელობითი მომსახურების გაწევას. აღნიშნული დოკუმენტების ქართულ და ინგლისურენოვან ტექსტებს შორის განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ტექსტს.

8. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უგზავნის დაწესებულებას.

9. საგანმანათლებლო პროგრამის და საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმები და მათთვის დადგენილი მოთხოვნები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 01.02.2018 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

მუხლი 27[2]. ზეპირი მოსმენა

1. საბჭო აკრედიტაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

1[1].საბჭო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ იმ დოკუმენტებისა და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილია წარმოების ფარგლებში და რომელიც განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის მიმდინარეობისას. გარემოება, რომელიც არ იყო ასახული დოკუმენტაციაში ან არ განხილულა ზეპირი მოსმენისას, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას.

2. საბჭოს სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე ან ცენტრის დირექტორი.

3. ზეპირი მოსმენის შესახებ დაინტერესებულ მხარეს ეცნობება ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს ზეპირ მოსმენაში.

4. სხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე, ხოლო საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრული საბჭოს წევრი. საბჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს სხდომის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

5. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. საბჭოს მოწვეული წევრების მონაწილეობის შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ამ პუნქტით გათვალისწინებულ რაოდენობაში

არ ჩაითვლება საბჭოს ის წევრი, რომელსაც განსახილველ საკითხთან მიმართებით აქვს თვითაცილება და/ან აცილება.

6. საბჭოს სხდომა საჯაროა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, სხდომა დახურულად გამოაცხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები მონაწილეობენ ზეპირ მოსმენაში, ხოლო ცენტრის წარმომადგენლები ან/და სხვა დაინტერესებული პირები უფლებამოსილნი არიან მიიღონ მონაწილეობა საკითხის განხილვაში სხდომის თავმჯდომარის თანხმობით.

8. საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ზეპირ მოსმენაში შესაბამისი დარგის სხვა ექსპერტის, პროფესიული ორგანიზაციის წევრის, სფეროს სპეციალისტისა და სხვა პირთა მოწვევა.

9. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე.

9[1]. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო არ იზიარებს დაწესებულების ან/და ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას, რის საფუძველზეც პროგრამას შესაძლოა არ მიენიჭოს აკრედიტაცია ან გაუუქმდეს აკრედიტაცია, საბჭო უფლებამოსილია გადადოს საკითხის განხილვა არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადით და დაწესებულებისგან ან/და ექსპერტთა ჯგუფისგან მოითხოვოს დამატებითი წერილობითი არგუმენტაციის წარმოდგენა.

10. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით.

11. ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება აკრედიტაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა სააკრედიტაციო ვიზიტის შემდეგ.

12. საბჭოს სხდომის ოქმი ფორმდება საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს მდივნის ხელმოწერებით. საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.

13. საბჭოს წევრების მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები შესაძლებელია ასევე განხორციელდეს დისტანციურად ან ნახევრად დისტანციურად კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №135/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.

მუხლი 27[3]. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ორი წლით. საბჭოს წევრებს საქმიანობა აუნაზღაურდებათ (მიეცემათ ჰონორარი) ცენტრის საკუთარი შემოსავლებიდან. საბჭოს წევრების საქმიანობის ანაზღაურების (ჰონორარის გაცემის) წესი და ოდენობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. საბჭოს წევრებს სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

1[1]. საბჭო შედგება მუდმივი წევრებისა და მოწვეული წევრებისაგან. საბჭოს საქმიანობაში მოწვეული წევრები მონაწილეობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულების მიერ წარდგენილ სააკრედიტაციო განაცხადში მითითებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომ - დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა). საბჭოს მოწვეულ წევრებს აქვთ ხმის უფლება.

1[2]. საბჭოს მოწვეული წევრების კანდიდატურათა შერჩევისას მხედველობაში მიიღება საბჭოს

დაკომპლექტებასთან დაკავშირებით სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ დადგენილი მოთხოვნები და კრიტერიუმები.

2. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია მონაწილეობდეს საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული არაუმეტეს 2 პირი, რომელთა საქმიანობის ანაზღაურების (ჰონორარის გაცემის) წესი და ოდენობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მოწვეულ პირებს საქმიანობა აუნაზღაურდებათ (ჰონორარი მიეცემათ) ცენტრის საკუთარი შემოსავლებიდან.

3. საბჭოს წევრს შეიძლება უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ან:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 5 საბჭოს სხდომაზე გამოუცხადებლობა;

ე) ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი და სააპელაციო საბჭოების საქმიანობის ეთიკის კოდექსით“ (შემდგომ – ეთიკის კოდექსი) დადგენილი მოთხოვნების და 27^4 მუხლით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში;

ვ) ცენტრის შუამდგომლობის გათვალისწინებით/საკუთარი ინიციატივით სამინისტროს წარდგინების საფუძველზე.

4. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დასტურდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი სამინისტროს წარდგინებით ერთ თვეში ნიშნავს ახალ წევრს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი, 12.02.2024წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №135/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.

მუხლი 27^4. საბჭოს საქმიანობის წესი და პრინციპები

1. საბჭოს წევრი საკუთარი ფუნქციების შესრულებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი.

2. საბჭოს წევრმა უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალურობა ნებისმიერ სიტუაციაში და არ უნდა მოექცეს დაინტერესებული მხარეების გავლენის ქვეშ, მათი სტატუსის მიუხედავად.

3. საბჭოს წევრმა არ უნდა გაასაჯაროოს და არ გამოიყენოს პირადი ინტერესისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

4. საბჭოს წევრი ორიენტირებული უნდა იყოს თანამშრომლობაზე და არ უნდა ცდილობდეს პრივილეგირებულ პოზიციაში თავის წარმოდგენას; საჯაროდ ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს ექსპერტის, დაწესებულების წარმომადგენლის, საბჭოს წევრისა და სააპელაციო საბჭოს წევრის კომპეტენტურობას, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა მათ პოზიციას.

4[1]. საბჭოს წევრი ვალდებულია დაიცვას ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები. საბჭოს წევრის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის საკითხი განიხილება ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს მიერ შექმნილ ეთიკის კომისიაზე.

5. (ამოღებულია - 28.11.2025, №135/ნ).

5[1]. (ამოღებულია - 28.11.2025, №135/ნ).

5[2]. (ამოღებულია - 28.11.2025, №135/ნ).

6. საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს აკრედიტაციის საბჭოს სამდივნო (შემდგომში – სამდივნო), რომლის ფუნქციასაც ასრულებს ცენტრი. სამდივნოს შემადგენლობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. სამდივნო საბჭოს წევრებს ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 14 კალენდარული დღით ადრე უგზავნის სხდომის დღის წესრიგსა და არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) აკრედიტაციის მაძიებლის თვითშეფასების შევსებულ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას;

ბ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას;

გ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას;

დ) ამ დებულების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულებისგან გამოთხოვილ დამატებით დოკუმენტაციას.

8. ზეპირი მოსმენის გამართვამდე, განსახილველ საკითხზე არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სრულყოფილად შესწავლისა და შეფასების მიზნით, საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია წინასწარ შეისწავლოს ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია. საბჭოს წევრი უფლებამოსილია, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია და მისი შესწავლის მიზნით საბჭო უფლებამოსილია გადადოს საკითხის განხილვა ადმინისტრაციული წარმოების დარჩენილი ვადების გათვალისწინებით.

9. ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას საბჭოს წევრი არ მონაწილეობს საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და კენჭისყრის პროცესებში. საბჭოს წევრი ასევე არ არის უფლებამოსილი, რომ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინოს დაინტერესებული მხარის – დაწესებულების ან აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია.

10. ინტერესთა კონფლიქტად ითვლება გარემოება, როდესაც საბჭოს წევრი:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავია;

გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;

დ) მონაწილეობდა მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოდგენილი დაწესებულების დოკუმენტაციის შემუშავებაში;

ე) უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მონაწილეობდა მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოდგენილი დაწესებულების აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასების პროცესში;

ვ) უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან ან იღებდა ანაზღაურებას სხვა სახის საქმიანობის ფარგლებში;

ზ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს/წილებს იმ დაწესებულებაში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;

თ) მისი ოჯახის წევრი შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;

ი) არსებობს სხვა ნებისმიერი სახის პირადი ინტერესი ან/და გარემოება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს გავლენა საბჭოს წევრის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაზე.

11. ამ მუხლის მიზნებისთვის, ახლო ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

12. აკრედიტაციის საბჭოს წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ცენტრს ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე და საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის დაწყებამდე განაცხადოს თვითაცილების შესახებ. ამასთანავე, საბჭოს წევრი ვალდებულია ცენტრის მიერ საბჭოს სხდომაზე განსახილველი დოკუმენტაციის მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში პროაქტიულად შეამოწმოს და აცნობოს ცენტრს ხომ არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი საბჭოს სხდომაზე განსახილველ რომელიმე საკითხთან მიმართებით.

13. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს აკრედიტაციის საბჭოს წევრის აცილების საფუძველი და საბჭოს წევრს არ განუცხადებია თვითაცილება, უფლება აქვს საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის დაწყებამდე განუცხადოს მას აცილება.

14. აცილების და თვითაცილების შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს.

15. აცილების ან თვითაცილების საკითხს წყვეტს აკრედიტაციის საბჭო ხმათა უმრავლესობით საბჭოს იმ წევრის მონაწილეობის გარეშე, რომლის აცილების/თვითაცილების საკითხიც განიხილება. აცილების თაობაზე საბჭომ შესაძლოა მოუსმინოს როგორც დაინტერესებულ მხარეს, რომელმაც განაცხადა აცილება, აგრეთვე საბჭოს წევრს, რომლის მიმართაც აცილების საკითხი იქნა დაყენებული.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 01.02.2018 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №135/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.

მუხლი 27^5. აკრედიტაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები

1. საბჭო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) აკრედიტაციის შესახებ;

ბ) პირობითი აკრედიტაციის შესახებ;

გ) აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ;

დ) აკრედიტაციის გაუქმების შესახებ.

2. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით. ამასთან, საბჭოს მოწვეული წევრების მონაწილეობის შემთხვევაში, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით, საიდანაც მოწვეულ წევრთა ხმები უნდა შეადგენდეს დამსწრე მოწვეულ წევრთა არანაკლებ 3/4-ს.

2[1]. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საბჭო იღებს ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ამასთან, საბჭოს სხდომის ოქმით უზრუნველყოფილია კენჭისყრის შედეგების საჯაროობა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

3[1]. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებასთან ერთად საბჭოს მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების (მონიტორინგის) შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმებისთვის დადგენილი საფასურის გადახდის თაობაზე ცენტრის მიერ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში დაწესებულებამ ცენტრში უნდა წარმოადგინოს აღნიშნული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ ვადაში საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, ცენტრის წარდგინებით საბჭო განიხილავს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის გაუქმების საკითხს.

3[2]. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ან „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება სასწავლო წლის განმავლობაში იქნება მიღებული, საბჭო უფლებამოსილია, შესაბამისი დაწესებულების შუამდგომლობისა და სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, აკრედიტაციის დარჩენილი ვადის მიუხედავად, სათანადო გადაწყვეტილებით სტუდენტებს მიმდინარე სასწავლო წელი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულებინოს და აკრედიტაციის გაუქმების შესახებ ან ხელახალ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად არაუგვიანეს მიმდინარე სასწავლო წლის დასრულების თარიღი მიუთითოს.

3[3]. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამასთან (გარდა უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამისა) მიმართებით, საბჭოს მუდმივი და მოწვეული წევრების მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ან ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას, საბჭო დაწესებულებისთვის დადგენილ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე, ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად, განსაზღვრავს სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას აკრედიტაციის ვადის განმავლობაში.

4. საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

5. საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო არ გაიზიარებს ექსპერტების შეფასებას, შეცვლის, დაამატებს ან ამოიღებს რეკომენდაციას, ვალდებულია მკაფიოდ და ნათლად, არგუმენტირებულად დაასაბუთოს აღნიშნული გადაწყვეტილება.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე. გადაწყვეტილების გამოქვეყნებასთან ერთად ცენტრის ვებგვერდზე ქვეყნდება ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება ძალაში შედის ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნების დღეს.

7[1]. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის უწყვეტობის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის ყოველი მომდევნო აკრედიტაციისას ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით

გათვალისწინებულ გადაწყვეტილებაში მიეთითება გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი, რომლის განსაზღვრისას საბჭო ითვალისწინებს დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე წარმოდგენილ ვადას.

7^2. (ამოღებულია - 25.02.2025, №5/ნ).

8. ავტორიზაციის ვადის გასვლის ან ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში აკრედიტაცია უქმდება.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №96/ნ - ვებგვერდი, 11.09.2020 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №135/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.

მუხლი 27^6. გადაწყვეტილება აკრედიტაციის ან პირობითი აკრედიტაციის შესახებ

1. საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას:

ა) ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ;

ბ) ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

ბ^1) ამ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ან ,,დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და სტანდარტის მეტწილად შესაბამისობა განპირობებულია ამავე სტანდარტის არაუმეტეს ერთი კომპონენტის შეფასებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით ამ დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (არაუმეტეს 2 წლის ვადაში), რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

გ) ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პირობითი აკრედიტაციის შესახებ;

დ) ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ.

1^1. პირობითი აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო პროგრამის მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ;

2. საბჭოს მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ანგარიშის წარდგენის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ამ დებულების 26^1 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადას. ანგარიშის წარდგენის ვადის ათვლა იწყება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან და ანგარიშის წარდგენის საბოლოო თარიღი მიეთითება ამავე გადაწყვეტილებაში.

2^1. საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2^2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ამ მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებულ ფორმასთან შესაბამის ანგარიშს უნდა ერთოდეს ანგარიშის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2^3. ცენტრი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისობას ამ მუხლის 2^1 და 2^2 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

2^4. თუ დაწესებულება ცენტრს არ წარუდგენს ამ მუხლის 2^1 პუნქტის შესაბამის ანგარიშს ან მასზე დასართავ დოკუმენტს, ცენტრი დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად.

2^5. ამ მუხლის 2^1 პუნქტით დადგენილი წესით დაწესებულების მიერ წარდგენილ ანგარიშს შეისწავლის აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი შესაბამისი დარგის ექსპერტი. ცენტრის მიერ დაწესებულებას ეგზავნება ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტის შესახებ, რომელიც შეისწავლის დაწესებულების მიერ წარდგენილ ანგარიშს.

2^6. ამ მუხლის 2^5 პუნქტით გათვალისწინებული ექსპერტის მოთხოვნის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია დაწესებულებისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

2^7. ანგარიშის, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ამ მუხლის 2^6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტი ადგენს დასკვნას.

2^8. საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2^9. ცენტრი ადგენს ექსპერტის მიერ შედგენილი დასკვნის ფორმალურ შესაბამისობას ამ მუხლის 2^8 პუნქტით გათვალისწინებულ ფორმასთან. საჭიროების შემთხვევაში, ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ექსპერტს უკან უბრუნდება დასკვნა.

2^{10}. ამ მუხლის 2^7-2^9 პუნქტების გათვალისწინებით, ექსპერტის მიერ შედგენილი დასკვნა წარედგინება საბჭოს და, ასევე, გასაცნობად შესაბამის დაწესებულებას.

2^{11}. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილი ანგარიში და ექსპერტის დასკვნა განიხილება შესაბამის საბჭოს სხდომაზე. საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს ანგარიში ცნობად ან მიმართოს ცენტრს აკრედიტაციის პირობების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ შუამდგომლობით, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2^{12}. ამ მუხლის 2^{11} პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენიდან 90 კალენდარული დღის ვადაში.

2^{13}. აკრედიტაციის ექსპერტის თვითაცილების ან/და აცილების საკითხები რეგულირდება ამ დებულების 24-ე მუხლის მე-4-მე-9 პუნქტების შესაბამისად.

3. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადაა 7 წელი. საგანმანათლებლო პროგრამა (გარდა, უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამისა), რომელიც ცენტრში სააკრედიტაციოდ წარდგენილია იმ კალენდარული წლის განმავლობაში, როდესაც აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის სფეროში კლასიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამებს არ უწევთ განმეორებითი აკრედიტაცია, სააკრედიტაციოდ წარდგენილ საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია ენიჭება აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის სფეროში კლასიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მომდევნო ვადამდე.

4. საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 4 წელი. საგანმანათლებლო პროგრამა (გარდა, უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამისა), რომელიც ცენტრში სააკრედიტაციოდ წარდგენილია იმ კალენდარული წლის განმავლობაში, როდესაც აღნიშნული საგანმანათლებლო

პროგრამის სწავლის სფეროში კლასიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამებს არ უწევთ განმეორებითი აკრედიტაცია, სააკრედიტაციოდ წარდგენილ საგანმანათლებლო პროგრამას პირობითი აკრედიტაცია ენიჭება აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის სფეროში კლასიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მომდევნო ვადამდე, მაგრამ არაუმეტეს 4 წლის ვადისა. პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება არ შეიძლება მიღებულ იქნეს ზედიზედ ორჯერ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 28 მარტის ბრძანება №40/ნ - ვებგვერდი, 29.03.2018წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.

მუხლი 27^7. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და განხორციელების ფორმები. ამ პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების პროექტი უნდა შეთანხმდეს ცენტრთან.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით ხელშეკრულების პროექტი წარმოდგენილი უნდა იქნეს სააკრედიტაციო განაცხადის წარმოდგენამდე და უნდა ერთოდეს ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების შემთხვევაში, დაწესებულებამ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადთან და ამ დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად, აგრეთვე, უნდა წარმოადგინოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად ცენტრთან ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების დოკუმენტი და შეთანხმებული პროექტის გათვალისწინებით გაფორმებული ხელშეკრულება.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია ხორციელდება ამ დებულებით დადგენილი წესით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020 წ.

მუხლი 27^8. აკრედიტაციაზე უარის თქმის, აკრედიტაციის გაუქმების ან აკრედიტაციის ვადის გასვლის სამართლებრივი შედეგები

1. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის ან აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში:

ა) დაწესებულებას ეზღუდება იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების/ აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/დოქტორანტობის კანდიდატების მიღების უფლება, რომელზეც უარი ეთქვა აკრედიტაციაზე, გაუუქმდა აკრედიტაცია ან აკრედიტაციის ვადა ამოეწურა;

ბ) სტუდენტი, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებით სწავლობს აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, უფლებამოსილია ამ დებულების 27^5 მუხლის 3^2 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს მიერ დადგენილი ვადით (ასეთი ვადის არსებობის შემთხვევაში) სწავლა გააგრძელოს იმავე საგანმანათლებლო პროგრამაზე და მიიღოს სახელმწიფო დაფინანსება ან ისარგებლოს მობილობის უფლებით, გადავიდეს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე და მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების დარჩენილი ოდენობა გადაიტანოს ამ საგანმანათლებლო

პროგრამაზე;

გ) სტუდენტს, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებით სწავლობს აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ამ დებულების 27^5 მუხლის 3^2 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს მიერ დადგენილი ვადის (ასეთი ვადის არსებობის შემთხვევაში) გასვლიდან, აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ ან აკრედიტაციის გაუქმების შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში უჩერდება სტუდენტის სტატუსი და ის უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით;

დ) აბიტურიენტი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული რანჟირების დოკუმენტის მიხედვით მოიპოვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება, უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით;

ე) მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხვდა, უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.

2. საგანმანათლებლო პროგრამისთვის ან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის ვადის გასვლის შემთხვევაში, დაწესებულების დასაბუთებული შუამდგომლობის, საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სტუდენტს უფლება აქვს მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლა გააგრძელოს იმავე საგანმანათლებლო პროგრამაზე და მიიღოს სახელმწიფო დაფინანსება. მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში სტუდენტს უჩერდება სტუდენტის სტატუსი და ის უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №96/ნ - ვებგვერდი, 11.09.2020 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

მუხლი 27^9. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა

1. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე (გარდა, უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამისა) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საფუძველია დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილ სააკრედიტაციო განაცხადში, ან სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში მითითებული ადგილების რაოდენობა.

2. დაწესებულების მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განაცხადში მითითებული სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა უნდა ეფუძნებოდეს დაწესებულების და საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, ადამიანურ რესურსებს, დაწესებულების, პრაქტიკის ობიექტების, ლაბორატორიული და კლინიკური ბაზების რესურსებს.

3. საბჭო ამ დებულებით დადგენილი წესით განიხილავს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განაცხადს და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და სხვა დაინტერესებული პირების მოსაზრებების გათვალისწინებით სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, საიდანაც მოწვეულ წევრთა ხმები უნდა შეადგენდეს დამსწრე მოწვეულ წევრთა არანაკლებ 3/4-ს.

4. საბჭო უფლებამოსილია დაეთანხმოს დაწესებულების მოთხოვნას ან შეამციროს მის მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.

მუხლი 27^{10}. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

1. დაწესებულება, ავტორიზაციის საბჭოს მიერ მისთვის დადგენილ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, უფლებამოსილია ცენტრს წარუდგინოს დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე წერილობითი განაცხადი.

2. ცენტრისათვის წარსადგენი სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ წერილობითი განაცხადის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ცენტრის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ.

4. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები – სხვა დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური/ სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი და სტუდენტი, ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ დამსაქმებლები, ასევე შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ან/და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები და სხვა შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირები.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, დაწესებულების და საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის, ადამიანური რესურსების, დაწესებულების, პრაქტიკის ობიექტების, ლაბორატორიული და კლინიკური ბაზების რესურსების გათვალისწინებით, ვიზიტის შედეგად დგება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს.

6. ცენტრი ადგენს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების 23-ე მუხლის მე-3 და ამ მუხლის მე-14 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი ეგზავნება დაწესებულებას. საჭიროების შემთხვევაში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

7. დაწესებულება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს და საბჭოს.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული დასკვნა მოიცავს ინფორმაციას ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე.

10. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უგზავნის დაწესებულებას და საბჭოს.

11. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ამ დებულების 27^9 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

12. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის ან სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ცენტრში სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის თაობაზე წერილობითი განაცხადის წარდგენიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

13. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება არის ამ პროგრამისთვის აკრედიტაციის გაუქმების საფუძველი, გარდა სტუდენტის სტატუსის აღდგენისას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გადაჭარბების შემთხვევისა.

14. ცენტრის ინიციატივით, ამ დებულების 31-ე მუხლის შესაბამისად აკრედიტაციის პირობების შემოწმების საფუძველზე, საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად შესაძლებელია შემცირდეს დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა.

15. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.

მუხლი 28. უცხოური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება

1. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის, მათ შორის, ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია შეიძლება განახორციელოს ცენტრის მიერ აღიარებულმა შესაბამისი კომპეტენციის მქონე უცხოურმა ორგანიზაციამ.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნებისათვის ცენტრი აღიარებს აკრედიტაციას, რომელიც მინიჭებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე მოქმედი და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) წევრი და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში (EQAR) რეგისტრირებული იმ ორგანიზაციის მიერ, რომელსაც ამგვარი უფლებამოსილება გააჩნია შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ცენტრს აწვდის წინასწარ ინფორმაციას შერჩეული ორგანიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (მათ შორის, პროგრამის სახელწოდების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების, პროგრამის შემადგენელი კომპონენტების, კრედიტების რაოდენობის, კრედიტების განაწილების მითითებით).

2^1. ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნებისათვის, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, ცენტრი აღიარებს აკრედიტაციას, თუ პროგრამა აკრედიტებულია საქართველოში და ამავდროულად, მინიჭებული აქვს აკრედიტაცია ევროკავშირის წევრი ქვეყნების, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე მოქმედი და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) წევრი და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში (EQAR) რეგისტრირებული იმ ორგანიზაციის მიერ, რომელსაც ამგვარი უფლებამოსილება გააჩნია შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით და მოპოვებული აქვს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) აღიარება. დაწესებულება ცენტრს აწვდის წინასწარ ინფორმაციას შერჩეული ორგანიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

2^2. ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნებისათვის, ცენტრი უფლებამოსილია აღიაროს ასევე აკრედიტაცია, რომელიც მინიჭებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე მოქმედი და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის ENQA - ს აფილირებული წევრის მიერ, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში (EQAR) რეგისტრირებულ ორგანიზაციას და რომელსაც, ამგვარი უფლებამოსილება გააჩნია შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით და ახორციელებს კონკრეტული სფეროს პროგრამების შეფასებას და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისათვის იყენებს შესაბამის დარგობრივ სტანდარტებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ცენტრს აწვდის წინასწარ ინფორმაციას შერჩეული ორგანიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (მათ შორის, პროგრამის სახელწოდების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების, პროგრამის შემადგენელი კომპონენტების,

კრედიტების რაოდენობის, კრედიტების განაწილების მითითებით).

3. ამ მუხლის მე-2, 2^1 და 2^2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში აღიარება ხორციელდება დაწესებულების მიერ ცენტრში შესაბამისი განცხადების, უცხოური ორგანიზაციის მიერ შექმნილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უცხოური ორგანიზაციის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების წარდგენის საფუძველზე.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნებისათვის ცენტრი უფლებამოსილია აღიაროს ასევე აკრედიტაცია, რომელიც მინიჭებულია ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოქმედი იმ ორგანიზაციის მიერ, რომელსაც ამგვარი უფლებამოსილება გააჩნია შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარების მიზნით, დაწესებულება ამ ორგანიზაციისათვის სააკრედიტაციო განაცხადით მიმართვას ახდენს ცენტრისაგან წინასწარი თანხმობის გაცემის საფუძველზე. ცენტრის წინასწარი თანხმობა გაიცემა, თუ ორგანიზაციის მიერ გამოყენებული გარე შეფასების მექანიზმი, ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, თავსებადია ეროვნულ დონეზე მოქმედ აკრედიტაციის სტანდარტებთან და პროცედურებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცენტრი გასცემს უარს დაწესებულების მიერ მითითებული ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარებაზე.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წარმოების დაწყების საფუძველია დაწესებულების მიერ ცენტრში წერილობითი განცხადებისა და ამ განცხადების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. ამ პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი განაცხადი ცენტრს წარედგინება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ორგანიზაციისთვის მიმართვამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე. წარდგენილი განცხადება უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის, სახელწოდების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების, პროგრამის შემადგენელი კომპონენტების, კრედიტების რაოდენობის, კრედიტების განაწილების მითითებით), ასევე, ინფორმაციას აკრედიტაციის განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსისა და უფლებამოსილების, აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ.

7. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აღიარება ხორციელდება დაწესებულების მიერ ცენტრში შესაბამისი განცხადების, უცხოური ორგანიზაციის მიერ შექმნილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უცხოური ორგანიზაციის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების წარდგენის საფუძველზე.

8. გარდა ამ მუხლის მე-2, 2^1, 2^2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა, ცენტრი უფლებამოსილია აღიაროს უცხოური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაცია, თუ ამ ორგანიზაციის მიერ გამოყენებული გარე შეფასების მექანიზმი, ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, თავსებადია ეროვნულ დონეზე მოქმედ აკრედიტაციის სტანდარტებთან და პროცედურებთან, და ამგვარი აღიარების შესახებ დათქმა გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით. საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმებამდე ცენტრი, ამ ხელშეკრულების პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს უცხოური ორგანიზაციის გარე შეფასების მექანიზმების თავსებადობის დადგენას ეროვნულ დონეზე მოქმედ აკრედიტაციის სტანდარტებთან და პროცედურებთან.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აღიარება ხორციელდება დაწესებულების მიერ ცენტრში შესაბამისი განცხადების, უცხოური ორგანიზაციის მიერ შექმნილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უცხოური ორგანიზაციის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების წარდგენის საფუძველზე. წარდგენილი განცხადება უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის, სახელწოდების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების, პროგრამის ხანგრძლივობის, პროგრამის შემადგენელი კომპონენტების, კრედიტების რაოდენობის, კრედიტების განაწილებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის მითითებით).

10. ცენტრის მიერ გადაწყვეტილება აკრედიტაციის აღიარების შესახებ მიიღება ამ მუხლის მე-3, მე-7 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში. თუ, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადა, ცენტრი უფლებამოსილია ადმინისტრაციული

წარმოების დაწყებისას მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული ვადის 60 კალენდარულ დღემდე გაზრდის თაობაზე.

11. დაწესებულება ვალდებულია აცნობოს ცენტრს ამ მუხლით გათვალისწინებული უცხოური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებაში ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

12. ცენტრი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2, 2^1, 2^2, მე-4 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ უცხოურ ორგანიზაციასთან წინასწარი შეთანხმებით განახორციელოს უცხოური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის პირობების შემოწმება არაგეგმიური მონიტორინგის გზით ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ეგზავნება შესაბამის უცხოურ ორგანიზაციას და დაწესებულებას.

13. დაწესებულება ვალდებულია ცენტრს აცნობოს უცხოური ორგანიზაციის მიერ აკრედიტაციის პირობების შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმაცია.

14. ამ მუხლით გათვალისწინებული უცხოური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარების შესახებ განაცხადის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 28 მარტის ბრძანება №40/ნ - ვებგვერდი, 29.03.2018 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.

თავი V^1.

სააპელაციო საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 16 სექტემბრის ბრძანება №121/ნ - ვებგვერდი, 16.09.2016წ.

მუხლი 28^1. სააპელაციო საბჭოს შემადგენლობა

1. ამ დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში დაწესებულებამ შეიძლება გაასაჩივროს სააპელაციო საბჭოში. დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილ სააპელაციო საჩივარს უნდა ერთოდეს საჩივრის განხილვის დასაშვებობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. სააპელაციო საბჭოს წევრებს სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. სააპელაციო საბჭოს უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ორი წლით. სააპელაციო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე, ავტორიზაციის საბჭოს წევრი ან საბჭოს წევრი.

3. სააპელაციო საბჭოს წევრებს საქმიანობა აუნაზღაურდებათ (მიეცემათ ჰონორარი) ცენტრის საკუთარი შემოსავლებიდან. სააპელაციო საბჭოს საქმიანობის ანაზღაურების (ჰონორარის გაცემის) წესი და ოდენობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. სააპელაციო საბჭო ფუნქციურად დამოუკიდებელია დაწესებულებებისა და სახელმწიფო ორგანოებისგან.

5. სააპელაციო საბჭოს წევრს შეიძლება უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ან:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში

შესვლისას;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში;

დ) სხდომებზე სისტემატურად გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუკი ეს აფერხებს სააპელაციო საბჭოს საქმიანობას;

ე) ისეთი მოქმედების შემთხვევაში, რომელიც შეუთავსებელია სააპელაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან;

ვ) დაწესებულების იმ სტრუქტურულ ერთეულში საქმიანობის შემთხვევაში, რომელიც სისტემატურად ახორციელებს ხარისხის მართვის უზრუნველყოფას;

ზ) ცენტრის შუამდგომლობის გათვალისწინებით/საკუთარი ინიციატივით სამინისტროს წარდგინების საფუძველზე.

6. სააპელაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დასტურდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი სამინისტროს წარდგინებით ერთ თვეში ნიშნავს ახალ წევრს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 16 სექტემბრის ბრძანება №121/ნ - ვებგვერდი, 16.09.2016 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი, 12.02.2024წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.

მუხლი 28^2. სააპელაციო საბჭოს საქმიანობის წესი

1. სააპელაციო საბჭოს წევრი საკუთარი ფუნქციების შესრულებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი.

2. სააპელაციო საბჭოს წევრმა უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალურობა ნებისმიერ სიტუაციაში და არ უნდა მოექცეს დაინტერესებული მხარეების გავლენის ქვეშ, მათი სტატუსის მიუხედავად.

3. სააპელაციო საბჭოს წევრმა არ უნდა გაასაჯაროოს და არ გამოიყენოს პირადი ინტერესისთვის სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

4. სააპელაციო საბჭოს წევრი ორიენტირებული უნდა იყოს თანამშრომლობაზე და არ უნდა ცდილობდეს პრივილეგირებულ პოზიციაში თავის წარმოდგენას; საჯაროდ ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს ექსპერტის, საბჭოს წევრისა და სააპელაციო საბჭოს სხვა წევრის კომპეტენტურობას, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა მათ პოზიციას.

5. სააპელაციო საბჭოს წევრი ვალდებულია, საკითხის განხილვის დაწყებამდე განაცხადოს დაწესებულებასთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობა.

5^1. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას, სააპელაციო საბჭოს წევრი არ მონაწილეობს სააპელაციო საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და კენჭისყრის პროცესებში.

5^2. ამ მუხლის 5^1 პუნქტით გათვალისწინებული სააპელაციო საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, სააპელაციო საბჭოს სხდომაზე წარმოადგინოს დაინტერესებული მხარის – დაწესებულების პოზიცია.

6. სააპელაციო საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სააპელაციო საბჭოს სამდივნო (შემდგომში – სამდივნო), რომლის ფუნქციასაც ასრულებს ცენტრი. სამდივნოს

შემადგენლობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. სამდივნო სააპელაციო საბჭოს წევრებს ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე უგზავნის შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) სააპელაციო საჩივარსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას;

ბ) სააკრედიტაციო დოკუმენტაციას;

გ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და მასზე აკრედიტაციის მაძიებლის მოსაზრებებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.

8. (ამოღებულია - 31.01.2018, №09/ნ).

9. ზეპირი მოსმენის გამართვამდე, განსახილველ საკითხზე არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სრულყოფილად შესწავლისა და შეფასების მიზნით, სააპელაციო საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია წინასწარ შეისწავლოს ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია. სააპელაციო საბჭოს წევრი უფლებამოსილია, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოითხოვოს სხვა დოკუმენტაციის მიწოდებაც.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 16 სექტემბრის ბრძანება №121/ნ - ვებგვერდი, 16.09.2016 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 01.02.2018 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

მუხლი 28^3. სააპელაციო საჩივარი

1. სააპელაციო საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობით და მასში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) მიმართვა სააპელაციო საბჭოსადმი;

ბ) სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა/დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია;

გ) იმ საბჭოს დასახელება, რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება;

დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასახელება;

ე) მოთხოვნა;

ვ) გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;

ზ) სააპელაციო საჩივარზე დართული დოკუმენტაციის ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის.

2. სააპელაციო საბჭო არ განიხილავს სააპელაციო საჩივარს, თუ:

ა) გასაჩივრებული გადაწყვეტილება სასამართლოს წარმოებაშია;

ბ) სააპელაციო საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;

გ) გასულია სააპელაციო საჩივრის წარდგენის ამ დებულების 28^1 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადა;

დ) მოთხოვნილი საკითხის განხილვა სცდება სააპელაციო საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებს.

3. სააპელაციო საბჭო სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერით.

4. (ამოღებულია - 31.01.2018, №09/ნ).

5. სააპელაციო საბჭოს მიერ სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში დაწესებულებამ ცენტრში უნდა წარადგინოს სააპელაციო საჩივრის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნულ ვადაში სააპელაციო საჩივრის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 16 სექტემბრის ბრძანება №121/ნ - ვებგვერდი, 16.09.2016წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 01.02.2018წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.

მუხლი 28^4. სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადა

სააპელაციო საბჭო სააპელაციო საჩივარს იხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის მიღებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 16 სექტემბრის ბრძანება №121/ნ - ვებგვერდი, 16.09.2016წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.

მუხლი 28^5. ზეპირი მოსმენა

1. სააპელაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო საჩივრის, სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შესახებ აკრედიტაციის მაძიებლის მოსაზრებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საბჭოს გადაწყვეტილების შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

2. სააპელაციო საბჭოს სხდომას იწვევს სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე.

3. ზეპირი მოსმენის შესახებ დაინტერესებულ მხარეს ეცნობება ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე. დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს ზეპირ მოსმენაში.

4. სხდომას უძღვება სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე, ხოლო თავმჯდომარისა და მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრული საბჭოს წევრი. სააპელაციო საბჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს სხდომის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს სააპელაციო საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

5. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სააპელაციო საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. ამ რაოდენობაში არ ჩაითვლება სააპელაციო საბჭოს ის წევრი, რომელსაც განსახილველ საკითხთან მიმართებით აქვს თვითაცილება და/ან აცილება.

6. სააპელაციო საბჭოს სხდომა საჯაროა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, სხდომა დახურულად გამოაცხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფში შემავალი ექსპერტები, ასევე – ცენტრის წარმომადგენლები, უფლებამოსილი არიან, დაესწრონ ზეპირ მოსმენას, ხოლო სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით – მონაწილეობა მიიღონ ზეპირ მოსმენაში.

8. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ზეპირ მოსმენაზე სხვა პირის მოწვევა.

9. სააპელაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია მონაწილეობდეს სააპელაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული პირი.

10. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე.

11. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით, მისცეს სააპელაციო საბჭოს ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტებები, წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები, დაასაბუთოს თავისი მოთხოვნა ან უარყოს ის მონაცემები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები, რომელსაც დაეფუძნა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12. ზეპირ მოსმენაზე სააპელაციო საბჭო მსჯელობს მხოლოდ იმ დოკუმენტაციაზე, რომელიც შემუშავდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებამდე.

13. სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი ფორმდება სხდომის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარისა და სააპელაციო საბჭოს მდივნის ხელმოწერებით. სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც ხელს აწერს სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე და სააპელაციო საბჭოს მდივანი.

14. სააპელაციო საბჭოს წევრების ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები შესაძლებელია ასევე განხორციელდეს დისტანციურად ან ნახევრად დისტანციურად კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 16 სექტემბრის ბრძანება №121/ნ - ვებგვერდი, 16.09.2016წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 01.02.2018წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

მუხლი 28[6]. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს მონაწილეობა სააპელაციო საჩივართან დაკავშირებულ წარმოებაში

1. სააპელაციო საბჭოს მიერ სააპელაციო საჩივრის მიღების შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღებ საბჭოს, სამდივნოს მეშვეობით, ეგზავნება სააპელაციო საჩივარი და მასზე დართული დოკუმენტების ასლები.

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები საბჭო უფლებამოსილია, სააპელაციო საჩივრის ასლის მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში წარუდგინოს სააპელაციო საბჭოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება სააპელაციო საჩივრის შესახებ.

3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები საბჭო სააპელაციო საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებიც მინიჭებული აქვს ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე დაინტერესებულ მხარეს.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები საბჭო ადმინისტრაციულ წარმოებაში, მათ შორის, ზეპირ მოსმენაზე, წარმოდგენილი უნდა იყოს ამ საბჭოს თავმჯდომარით ან მისი თანხმობით, საბჭოს სხვა წევრით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 16 სექტემბრის ბრძანება №121/ნ - ვებგვერდი, 16.09.2016წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 01.02.2018წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

მუხლი 28[7]. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებები

1. სააპელაციო საბჭო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამოწმებს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.

2. სააპელაციო საბჭო სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) საბჭოს გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ;

ბ) საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2^1. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას სააპელაციო საბჭო იღებს ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ამასთან, სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმით უზრუნველყოფილია კენჭისყრის შედეგების საჯაროობა.

3. სააპელაციო საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

4. სააპელაციო საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

5. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე.

6. საბჭოს გადაწყვეტილების სააპელაციო საბჭოში გასაჩივრება არ იწვევს ამ გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 16 სექტემბრის ბრძანება №121/ნ - ვებგვერდი, 16.09.2016 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

მუხლი 28^8. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები

1. საბჭოს გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ სააპელაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადაში.

2. საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ სააპელაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი საბჭო განიხილავს საკითხს ამ დებულების 27^2 და 27^5 მუხლებით დადგენილი წესით და გადაწყვეტილებას იღებს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

3. საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ სააპელაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებისა და სხდომის ოქმის ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში გადაწყვეტილებას იღებს ამ დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის, საბჭოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების, სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების განხილვისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

4. აკრედიტაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების ამ თავით განსაზღვრული წესით გასაჩივრება დაწესებულებას შეუძლია მხოლოდ ერთხელ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 16 სექტემბრის ბრძანება №121/ნ - ვებგვერდი, 16.09.2016წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №96/ნ - ვებგვერდი, 11.09.2020 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

თავი VI
აკრედიტაციის პირობების შემოწმება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017წ.

მუხლი 29. აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა

1. აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით, დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკრედიტებულ პროგრამას, ვალდებულია ცენტრს არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ წარუდგინოს თვითშეფასების ანგარიში. თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში შესაძლებელია წარდგენილ იქნეს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით ან მატერიალური სახით, რა დროსაც აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და მასზე დასართავი

დოკუმენტაცია ცენტრს წარედგინება ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის მეშვეობით.

3. თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენა არ არის სავალდებულო შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამისთვის:

ა) რომელსაც მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია;

ბ) რომელსაც მიენიჭა აკრედიტაცია ან პირობითი აკრედიტაცია არაუმეტეს 4 წლის ვადით;

გ) რომელსაც მიენიჭა აკრედიტაცია და რომელზეც საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ამ დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ^1“ ქვეპუნქტის და 31-ე მუხლის საფუძველზე განხორციელდა აკრედიტაციის პირობების შემოწმება გეგმური მონიტორინგის ფარგლებში;

დ) რომელსაც აკრედიტაცია მინიჭებული აქვს ცენტრის მიერ აღიარებული უცხოური ორგანიზაციის მიერ და ცენტრმა მოახდინა ამ პროგრამაზე მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება;

ე) რომელსაც აკრედიტაცია მიენიჭა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის №09/ნ ბრძანებით გათვალისწინებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების“ ძალაში შესვლამდე მოქმედი დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების საფუძველზე;

ვ) რომელზეც ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის პერიოდში, მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება სააკრედიტაციო განაცხადთან დაკავშირებით;

ზ) რომელსაც მიენიჭა აკრედიტაცია და რომელზეც ამ დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 2^2-2^{11} პუნქტების შესაბამისად განხორციელდა შეფასების პროცესი და საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ანგარიში მიღებულია ცნობად.

4. საგანმანათლებლო პროგრამის და საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის ფორმებს ამტკიცებს ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. ცენტრი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისობას ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

5^1. ცენტრი 7 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისობას ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

6. თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის მიზნით, ცენტრის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და თვითშეფასების ანგარიშის შეფასების თაობაზე.

7. თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის მიზნით შექმნილ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები – სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის წევრები, ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს სტუდენტი, დამსაქმებელი, რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში – ასევე შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ან/და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები.

8. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, ცენტრი უფლებამოსილია დაწესებულებისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

9. თვითშეფასების ანგარიშის, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ადგენს დასკვნის პროექტს.

10. ცენტრი ადგენს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების 23-ე მუხლის მე-3 და ამ მუხლის მე-18 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში დასკვნის პროექტი ეგზავნება დაწესებულებას.

11. საჭიროების შემთხვევაში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

12. დაწესებულება დასკვნის პროექტის გაცნობიდან 5 სამუშაო დღის, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შემთხვევაში – 10 სამუშაო დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს.

14. ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული დასკვნა მოიცავს ინფორმაციას ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე.

15. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი დაწესებულებას უგზავნის ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

16. ამ მუხლით გათვალისწინებული თვითშეფასების ანგარიშის შეფასების შედეგები ცენტრის მიერ გამოიყენება დაწესებულებისა და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის ფარგლებში სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრების, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებისა და დაწესებულებების საჭიროებებზე დაფუძნებული განმავითარებელი და მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით.

17. ამ მუხლით გათვალისწინებული თვითშეფასების ანგარიშის დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობა შესაძლებელია საფუძვლად დაედოს საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ დებულების 31-ე მუხლის შესაბამისად აკრედიტაციის პირობების შემოწმებას.

18. საგანმანათლებლო პროგრამის და საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმები და მისთვის დადგენილი მოთხოვნები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.

მუხლი 30. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში განხორციელებული ცვლილებები

1. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობ(ებ)ის, სწავლის შედეგ(ებ)ის ან/და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) ან/და საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის (ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების და მისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობის არანაკლებ 30%-ით ცვლილება - დამატება ან/და ამოღება, რაც არ ცვლის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს ან/და კონცენტრაციის დამატება ან/და ამოღება) ცვლილების შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია ცენტრს წერილობით აცნობოს ცვლილების განხორციელებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და წარუდგინოს შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე ცვლილებების განხორციელების მიზეზი და მის მიერ გამოცემული შესაბამისი აქტი.

1^1. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შემდგომ საგანმანათლებლო პროგრამაზე ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი აფილირებული აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა შეიცვალა არანაკლებ 1/3-ით, დაწესებულება ვალდებულია ცვლილებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობოს ცენტრს აღნიშნულის შესახებ.

2. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლების ენის ან/და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელების ცვლილება, აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანება ან საგანმანათლებლო პროგრამის გაყოფა (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), ასევე, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 75-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ადგილების - მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების ცვლილება დაუშვებელია. ამ პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების განხორციელების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები განიხილება ახალ პროგრამად/პროგრამებად, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებამ უნდა მოიპოვოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2^1. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესული ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი რომელიმე დაწესებულების მიერ ხელშეკრულების შეწყვეტას/შეჩერებას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა განიხილება ახალ პროგრამად, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებამ უნდა მოიპოვოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელების ცვლილება ან/და აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაყოფა დასაშვებია, თუ აღნიშნული უკავშირდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანას ან არსებულ დარგობრივ მახასიათებელში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანას. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები არ განიხილება ახალ პროგრამად/პროგრამებად და აკრედიტებულ რეჟიმში აგრძელებენ მოქმედებას ამ პუნქტით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელების ცვლილებამდე ან/და აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის გაყოფამდე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული აკრედიტაციის დარჩენილი ვადით.

4. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა გამოიწვევს საგანმანათლებლო პროგრამის ორ ან მეტ საგანმანათლებლო პროგრამად გაყოფას, დაწესებულება ვალდებულია იმავე კალენდარული წლის განმავლობაში გაყოფილი საგანმანათლებლო პროგრამები, მიუხედავად მათი დეტალური სფეროს კოდებისა, მოიყვანოს შესაბამისობაში ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და წარადგინოს ცენტრში.

5. ამ მუხლის პირველი, 1^1, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელების, ასევე ამავე პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს აკრედიტაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 28 მარტის ბრძანება №40/ნ - ვებგვერდი, 29.03.2018 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №96/ნ - ვებგვერდი, 11.09.2020 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.

მუხლი 31. აკრედიტაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით

1. აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

2. გეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით და/ან ცენტრის ინიციატივით.

3. გეგმიური მონიტორინგის გეგმის შედგენის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის კრიტერიუმები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. საგანმანათლებლო პროგრამების გეგმიური მონიტორინგის წლიური გეგმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც გამოცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება შესაბამის დაწესებულებას.

5. არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული საჩივარი შესაძლოა ცენტრში წარმოდგენილი იქნეს იმ დაინტერესებული პირის (კანონიერი წარმომადგენელი, სტუდენტი, აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო ან ადმინისტრაციული პერსონალი და სხვა) მიერ, რომელიც მიიჩნევს, რომ ირღვევა ამ დებულებით განსაზღვრული სტანდარტები. ამასთან, საჩივრის ფორმა, საჩივრის შედგენისა და განხილვის მეთოდოლოგია მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. საგანმანათლებლო პროგრამის ან საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელებისას ცენტრი უფლებამოსილია დაწესებულებისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია/ინფორმაცია და/ან გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და/ან დაწესებულებაში გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის შესახებ.

8. ცენტრის მიერ დაწესებულებისგან შესაბამისი დოკუმენტაციის/ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში, თუ დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების დამატებითი საჭიროება, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ ვიზიტით ან/და დოკუმენტაციის შესწავლით, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, ცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე საბჭო წყვეტს მონიტორინგის თაობაზე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

9. გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შემთხვევაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები – სხვა დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი. ასევე, მონიტორინგის ფარგლებისა და შინაარსის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს – სტუდენტი, დამსაქმებელი, რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში – ასევე შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ან/და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენელი და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები.

10. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.

11. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში გეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ ვიზიტით ან/და დოკუმენტაციის შესწავლით ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დაწესებულებას წარედგინება ვიზიტის/შეფასების პროცესის დაწყებამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე.

12. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ ვიზიტით ან/და დოკუმენტაციის შესწავლით ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დაწესებულებას წარედგინება უშუალოდ ვიზიტის/შეფასების პროცესის დაწყებისას, ან ვიზიტის/შეფასების პროცესის დაწყებამდე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე.

12[1]. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების ნაწილი, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ასევე განხორციელდეს დისტანციურად ან ნახევრად დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

13. აკრედიტაციის ექსპერტის/ექსპერტების თვითაცილების ან/და აცილების საკითხები რეგულირდება ამ დებულების 24-ე მუხლის მე-4-მე-9 პუნქტების შესაბამისად. დაწესებულების მიერ აცილების გამოყენების უფლება არ აბრკოლებს ვიზიტის განხორციელებას.

14. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შემთხვევაში დგება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს.

15. ცენტრი ადგენს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების 23-ე მუხლის მე-3 და 27[1] მუხლის მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი ეგზავნება დაწესებულებას.

16. საჭიროების შემთხვევაში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

17. დაწესებულება დასკვნის პროექტის გაცნობიდან 5 სამუშაო დღის, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შემთხვევაში - 10 სამუშაო დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს და საბჭოს.

18. ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს.

19. ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული დასკვნა მოიცავს ინფორმაციას ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე.

20. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უგზავნის დაწესებულებას.

21. აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად, საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

22. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია, ადმინისტრაციული წარმოების დარჩენილი ვადების გათვალისწინებით, დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება.

22[1]. ამ მუხლის 22-ე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის, ან აკრედიტაციის ექსპერტის მიერ რეკომენდაციის შინაარსის, ფარგლებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

23. იმ შემთხვევაში თუკი ამ მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ

დაწესებულების მიერ რეკომენდაციების 50%-ზე მეტი არ არის შესრულებული, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის გაუქმების შესახებ.

24. იმ შემთხვევაში, თუკი ამ მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ რეკომენდაციების ნაწილი დაწესებულების მიერ შესრულებულია და ამასთან არცერთი სტანდარტი არ ფასდება როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოსადგენად ან მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. ამ პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშის წარმოდგენისა და განხილვის წესი განისაზღვრება ამ დებულების 27^6 მუხლის მე-2-2^{12} პუნქტების შესაბამისად.

25. იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

26. აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე ცენტრისათვის შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, საბჭო განსაზღვრავს მონიტორინგის განხორციელების პერიოდს, მონიტორინგის განხორციელების ფორმას და მონიტორინგის ფარგლებს.

27. საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღება დაწესებულების მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ცენტრის დირექტორის ბრძანების გამოცემიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ ვადის დინება შეჩერებულად ითვლება საბჭოს მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №144/ნ - ვებგვერდი, 23.08.2017 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 01.02.2018 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 28 მარტის ბრძანება №40/ნ - ვებგვერდი, 29.03.2018 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.

მუხლი 31^1. აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის წესი

1. დაწესებულება ან/და სააკრედიტაციო პროცესში მონაწილე სხვა დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია ცენტრში აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებით, აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას კონკრეტული გარემოების დადგომიდან ან პროცესის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წარადგინოს საჩივარი, თუკი, ცენტრის თანამშრომლის/თანამშრომლების ან/და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის/წევრების მიერ დაირღვევა ამ დებულებით, ამ დებულების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსით“ ან/და ცენტრის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები.

2. საჩივარი, რომელიც წარდგენილია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის/წევრების მიმართ, განიხილება ამ დებულების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. საჩივარი, რომელიც წარდგენილია ცენტრის თანამშრომლის/თანამშრომლების მიმართ, განიხილება ცენტრის შინაგანაწესით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საჩივრის განხილვის წესი და პირობები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. დაწესებულება ან/და სააკრედიტაციო პროცესში მონაწილე სხვა დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია წარადგინოს საჩივარი აკრედიტაციის საბჭოსა და სააპელაციო საბჭოს წევრების მიმართ ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნებისა და ამ დებულებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საჩივრის განხილვის წესი და პირობები მტკიცდება

ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №135/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.

მუხლი 31[2]. უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია

1. უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაცია და პირობების შემოწმება ხორციელდება ამ მუხლით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ მუხლით, წესრიგდება ამავე ბრძანების შესაბამისი მუხლებით.

2. უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ცენტრს სააკრედიტაციო განაცხადის წარმოდგენამდე არანაკლებ 2 თვით ადრე წერილობით აცნობებს საგანმანათლებლო პროგრამაზე სააკრედიტაციო პროცესის დაწყების სურვილის შესახებ.

3. უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, წერილობით მიმართოს ცენტრს აკრედიტაციის პროცესისათვის საკონსულტაციო შეხვედრის განხორციელების თხოვნით, რომელიც შეეხება:

ა) საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესს;

ბ) სააკრედიტაციო განაცხადის მომზადებასა და თვითშეფასების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას;

გ) სააკრედიტაციო ვიზიტის დაგეგმვასა და განხორციელებას;

დ) აკრედიტაციის სტანდარტების, დარგობრივი მახასიათებლების განმარტებას.

4. საკონსულტაციო შეხვედრის და აკრედიტაციის საფასური განისაზღვრება ამ ბრძანების მე-4 დანართით;

5. უცხო ქვეყანაში მოქმედი უმაღლესი განათლების სისტემის, დარგობრივი მახასიათებლებისა და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციის მოძიების მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია დაუკავშირდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქვეყანაში მოქმედ უმაღლესი განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ ორგანიზაცია/ორგანიზაციებს.

6. უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სააკრედიტაციო განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია ცენტრში წარდგენილი უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე. ცენტრი უზრუნველყოფს იმ დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმანს, რომელთა ქართულ ენაზე არსებობის მოთხოვნის შესახებ დათქმა მითითებულია უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესავსებ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის დამტკიცებულ ფორმაში. ცენტრის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისურენოვანი დოკუმენტაციის ქართულ ენაზე თარგმნის საფასური დგინდება ცენტრის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის გაგზავნილი ინვოისით.

7. უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის მაძიებლად ცნობის ეტაპზე ცენტრსა და დაწესებულებას შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლება-მოვალეობები, სააკრედიტაციო დოკუმენტაციის თარგმნის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების, ცენტრის წარმომადგენლის/წარმომადგენლების მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები და აკრედიტაციის საფასური.

8. უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას ჯგუფში სავალდებულოა იმ ქვეყნის წარმომადგენელი ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობა, რომელშიც საერთაშორისო აკრედიტაციის მაძიებელი დაწესებულება ფუნქციონირებს.

აღნიშნული ექსპერტ(ებ)ი განისაზღვრება დაწესებულების ქვეყანაში უმაღლესი განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციასთან კონსულტაციის საფუძველზე.

9. უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები – სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი და სტუდენტი, საერთაშორისო ექსპერტ(ებ)ი, დამსაქმებელი, ასევე შესაძლებელია მონაწილეობდნენ რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში – შესაბამისი ქვეყნიდან მარეგულირებელი ორგანოს ან/და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები და სხვა შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირები.

10. საგანმანათლებლო პროგრამების საბჭოს მიერ უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხილვისას, სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია მონაწილეობდეს საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული არაუმეტეს 2 საერთაშორისო ექსპერტი, რომლის საქმიანობის ანაზღაურების (ჰონორარის გაცემის) წესი და ოდენობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მოწვეულ პირებს საქმიანობა აუნაზღაურდებათ (ჰონორარი მიეცემათ) ცენტრის საკუთარი შემოსავლებიდან.

11. იმ შემთხვევაში, როდესაც სააკრედიტაციო განაცხადით წარდგენილია დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა, შეფასების პროცესში ცენტრი ითვალისწინებს ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის სტანდარტებს საბაზო სამედიცინო განათლების შესახებ და ასევე, აკრედიტაციის მაძიებელი დაწესებულების ქვეყანაში მოქმედ დარგობრივი მახასიათებლის ან კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითად მოთხოვნებს (არსებობის შემთხვევაში).

12. საბჭოს გადაწყვეტილება უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით და საბჭოს სხდომის ოქმის შესაბამისი ნაწილი გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

13. უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ინგლისურ ენაზე წარმოადგინოს სააპელაციო საჩივარი საგანმანათლებლო პროგრამების საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ.

14. უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება და საბჭოს სხდომის ოქმის შესაბამისი ნაწილი გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

15. უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის და საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის ფორმები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.

თავი VII

გარდამავალი დებულებები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020წ.

მუხლი 32. „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების საფუძველზე შემუშავებული პროგრამების აკრედიტაცია გარდამავალ ეტაპზე

1. „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების საფუძველზე შემუშავებული და

2018 წლის 5 ოქტომბრის მდგომარეობით ავტორიზებულ/აკრედიტებულ რეჟიმში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტად განხორციელების მიზნით, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადი ცენტრში შესაძლებელია წარდგენილ იქნეს 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სააკრედიტაციო განაცხადში ასახული საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგების მიხედვით შესაძლოა გადიოდეს ერთზე მეტ, მაგრამ არაუმეტეს სამ კვალიფიკაციაზე (გარდა რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადების, ქართულ ენაში მომზადებისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებისა).

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სააკრედიტაციო განაცხადში ასახული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანილ უნდა იქნეს ამავე ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში.

მუხლი 33. გარდამავალ პერიოდში დებულებით გათვალისწინებული ზოგიერთი სამართლებრივი ურთიერთობის განხორციელების წესი

1. გარდამავალ პერიოდში აკრედიტაციის ექსპერტთა, საბჭოს წევრებისა და სააპელაციო საბჭოს წევრების ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში), გარდა რეგულირებადი სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული წარმოების ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ საბჭოს სხდომამდე განსახორციელებელი ფუნქცია-მოვალეობებისა.

1[1]. გარდამავალ პერიოდში „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტების ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები შესაძლებელია განხორციელდეს ნახევრად დისტანციურად, რაც გულისხმობს აკრედიტაციის ექსპერტების (გარდა საერთაშორისო ექსპერტის) მიერ დაწესებულების მატერიალური რესურსების, კლინიკური ბაზებისა და ლაბორატორიების შეფასებას ადგილზე ვიზიტის განხორციელებით. ამასთან, აღნიშნული ასევე გულისხმობს საერთაშორისო ექსპერტის მიერ დაწესებულების მატერიალური რესურსების, კლინიკური ბაზებისა და ლაბორატორიების დათვალიერებას დისტანციურად კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, რაც ტექნიკურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს აკრედიტაციის მაძიებლის მიერ.

2. გარდამავალ პერიოდად ჩაითვალოს ახალი კორონავირუსის გავრცელების საფრთხის აღმოფხვრამდე პერიოდი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 18 მარტის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 19.03.2020 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 მარტის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.

მუხლი 34. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ 2020 წლის 30 იანვრამდე წარდგენილი ანგარიშის განხილვა ხორციელდება ანგარიშის წარმოდგენის პერიოდისთვის მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №96/ნ - ვებგვერდი, 11.09.2020 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

მუხლი 35. საგანმანათლებლო პროგრამების ხელახალი აკრედიტაცია და ადმინისტრაციული წარმოების ვადის შეჩერება

1. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას (გარდა 2011-2012 წლებში აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამისა), რომელსაც მიმდინარე აკრედიტაციის ვადა 2020 წელს ეწურება, ეს ვადა გაუგრძელდეს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამას (გარდა 2011-2012 წლებში აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამისა), რომელსაც მიმდინარე აკრედიტაციის ვადა 2020 წელს ეწურება, ეს ვადა გაუგრძელდეს 2021 წლის 1 ივლისამდე.

3. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის მიმართ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2020 წლის 12 ივნისის №6284-IIს კანონის ამოქმედებამდე საბჭომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება ან/და რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე ამოეწურა მიმდინარე აკრედიტაციის ვადა და რომლის აკრედიტაციასთან დაკავშირებით ცენტრში ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №96/ნ - ვებგვერდი, 11.09.2020 წ.

მუხლი 36. ცალკეულ შემთხვევაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფში საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობასთან დაკავშირებული რეგულირების მოქმედების პერიოდი

2023 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს მე-20 მუხლის მე-11 პუნქტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

დანართი №2

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საფასური

მუხლი 1. აკრედიტაციის საფასურის ოდენობა

1. აკრედიტაციის განაცხადის განხილვის საფასური ერთ საგანმანათლებლო პროგრამაზე შეადგენს 200 ლარს, 2-3 პროგრამაზე - 400 ლარს, 4-6 პროგრამაზე - 600 ლარს, 7-8 პროგრამაზე - 800 ლარს.

2. უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკრედიტაციის განაცხადის განხილვის საფასური 1-2 პროგრამაზე შეადგენს 600 ლარს, 3-4 პროგრამაზე - 900 ლარს, 5-8 პროგრამაზე - 1100 ლარს.

3. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე განაცხადის განხილვის საფასური შეადგენს 200 ლარს.

4. აკრედიტაციის საფასური მოიცავს: ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ საპროგნოზო ადმინისტრაციულ (სახელფასო, საოფისე და საბჭოს სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებულ) ხარჯებს, აკრედიტაციის ექსპერტთა ანაზღაურების ხარჯებს, აკრედიტაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმებასთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯებს, ვიზიტის დროს სინქრონული თარგმნის ხარჯს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მისამართი ცენტრის საკუთარი შემოსავლებიდან შესაბამისი ოდენობის თანხას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის (გარდა რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადების, სპეციალური მასწავლებლის მომზადების, ქართულ ენაში მომზადების, ვეტერინარიის მომზადებისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებისა) აკრედიტაციის/კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საფასურის ოდენობა შეადგენს:

ა) ერთი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 6 239 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 7 759 ლარს;

ბ) ორი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 8 904 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 10 672 ლარს;

გ) სამი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 13 162 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 16 027 ლარს;

დ) ოთხი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 16 319 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 19 252 ლარს;

ე) ხუთი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 18 106 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 21 502 ლარს;

ვ) ექვსი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 19 973 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 23 537 ლარს;

ზ) შვიდი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 25 006 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 30 619 ლარს;

თ) რვა საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 28 095 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 34 722 ლარს.

6. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის (გარდა დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამისა), ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საფასურის ოდენობა შეადგენს:

ა) ერთი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 9 362 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 10 670 ლარს;

ბ) ორი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 11 760 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 13 316 ლარს;

გ) სამი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 16 345 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 18 849 ლარს;

დ) ოთხი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 19 549 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 22 491 ლარს;

ე) ხუთი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 21 123 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 24 157 ლარს;

ვ) ექვსი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 22 767 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 25 970 ლარს;

ზ) შვიდი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 28 750 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 33 853 ლარს;

თ) რვა საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 31 617 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 37 733 ლარს.

7. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საფასურის ოდენობა შეადგენს 12 573 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში - 14 093 ლარს.

8. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საფასურის ოდენობა შეადგენს: 4 795 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 6 315 ლარს.

9. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის/სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის აკრედიტაციის/კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საფასურის ოდენობა შეადგენს:

ა) ერთი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 5 573 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 7 093 ლარს;

ბ) ორი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 8 415 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 10 183 ლარს;

გ) სამი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 12 162 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 15 027 ლარს;

დ) ოთხი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 13 986 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 16 919 ლარს;

ე) ხუთი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 16 773 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 20 168 ლარს;

ვ) ექვსი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 18 528 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 22 093 ლარს;

ზ) შვიდი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 23 339 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 28 953 ლარს;

თ) რვა საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 26 317 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 32 944 ლარს.

10. ვეტერინარიის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საფასურის ოდენობა შეადგენს 5 573 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში 7 093 ლარს.

11. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საფასური შეადგენს 6 328 ლარს, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში - 8 134 ლარს.

12. უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საფასური შეადგენს:

ა) ერთი ან/და ორი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 35 376 ლარს;

ბ) სამი ან/და ოთხი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 55 634 ლარს;

გ) ხუთი, ექვსი, შვიდი ან/და რვა საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 89 244 ლარს.

13. უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ცენტრის მიერ გაწეული საკონსულტაციო მომსახურების საფასური შეადგენს 7 500 ლარს.

14. იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრატურის ერთი საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგების მიხედვით გადის სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ერთ დეტალურ სფეროში მოცემულ ერთზე მეტ, მაგრამ არაუმეტეს სამ კვალიფიკაციაზე (გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამისა), მისი აკრედიტაციის საფასური იზრდება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი საფასურის 20%-ით ყოველი მომდევნო კვალიფიკაციისთვის.

15. თუ კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამები (გარდა რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადების, სპეციალური მასწავლებლის მომზადების, ქართულ ენაში მომზადების, ვეტერინარიის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისა) მოიცავს სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, აკრედიტაციის საფასურის ოდენობა დაიანგარიშება ამავე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გამოყენებით.

15[1]. თუ კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს მასწავლებლის მომზადების, სპეციალური მასწავლებლის მომზადების ან ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, აკრედიტაციის საფასურის ოდენობა დაიანგარიშება ამავე მუხლის მე-5, მე-6, მე-9 და მე-10 პუნქტების გათვალისწინებით.

16. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის შესწავლის საფასური შეადგენს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის (გარდა რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადების, სპეციალური მასწავლებლის მომზადების, ქართულ ენაში მომზადების, ვეტერინარიის მომზადებისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებისა) შემთხვევაში 1 627 ლარს;

ბ) რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის (გარდა დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა), ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 2 016 ლარს;

გ) დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 2 549 ლარს;

დ) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 1 494 ლარს;

ე) მასწავლებლის მომზადების/სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 1 655 ლარს;

ვ) ვეტერინარიის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 2 016 ლარს.

17. აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების საფასური საგანმანათლებლო პროგრამისათვის, რომელსაც მიენიჭა აკრედიტაცია და რომელზეც საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ[1]“ ქვეპუნქტისა და 31-ე მუხლის შესაბამისად განისაზღვრა მონიტორინგის განხორციელება, შეადგენს ამ მუხლის მე-5-მე-10, მე-12 და მე-15 პუნქტებით გათვალისწინებული

შესაბამისი საფასურის 38%-ს.

18. სააპელაციო საჩივრის განხილვის დასაშვებობის საფასური შეადგენს 200 ლარს, ხოლო უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საჩივრის განხილვის დასაშვებობის საფასური შეადგენს 500 ლარს. სააპელაციო საჩივრის განხილვის საფასური შეადგენს 2 777 ლარს.

19. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით დაწესებულებებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების საფასური შეადგენს 480 ლარს.

20. ამ მუხლით გათვალისწინებული საფასურები გადაიხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ცენტრის საბანკო ანგარიშზე შეტანის გზით. ამ მუხლით გათვალისწინებული საფასურები განმცხადებელს არ უბრუნდება, გარდა ამ მუხლის მე-21 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

21. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საფასური სრულად ბრუნდება, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტას მოითხოვს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნამდე.

22. ცენტრის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ქართულიდან ინგლისურ ენაზე და უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაციის შემთხვევაში, ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნის საფასური გამოიანგარიშება სათარგმნი გვერდების რაოდენობის მიხედვით და თანხის ოდენობა საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრება ცენტრის მიერ გაგზავნილი ინვოისის შესაბამისად. ერთი გვერდის თარგმნის ღირებულება შეადგენს 30 ლარს (2500 სიმბოლო).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 31 მაისის ბრძანება №93/ნ - ვებგვერდი, 03.06.2024წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანება №5/ნ - ვებგვერდი, 27.02.2025წ.

დანართი №3

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №96/ნ - ვებგვერდი, 11.09.2020 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №135/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.

(ერთვის დანართი ფაილის სახით)

დანართი №4

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 28 მარტის ბრძანება №40/ნ - ვებგვერდი, 29.03.2018წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ამ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (დანართი №1) შესაბამისად გაწეული მომსახურების საფასური

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 29.01.2020წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.

მუხლი 1. ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოქმედი ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარების მიზნით, ამ ორგანიზაციისათვის სააკრედიტაციო განაცხადით მიმართვისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისაგან (შემდგომში – ცენტრი) წინასწარი თანხმობის გასაცემად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილი წერილობითი განცხადების განხილვის საფასური

1. ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოქმედი ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარების მიზნით, ამ ორგანიზაციისათვის სააკრედიტაციო განაცხადით მიმართვისათვის ცენტრისაგან წინასწარი თანხმობის გასაცემად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილი წერილობითი განცხადების განხილვის საფასურის ოდენობა შეადგენს 1000 ლარს (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით).
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასური გადაიხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ცენტრის საბანკო ანგარიშზე შეტანის გზით. გადახდილი საფასური განმცხადებელს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტას მოითხოვს განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში მონაწილე საერთაშორისო

ექსპერტის საქმიანობის ანაზღაურება

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობის შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იხდის საერთაშორისო ექსპერტის შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო თანხას.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის ოდენობა განისაზღვრება ცენტრის მიერ გაგზავნილი ინვოისის შესაბამისად, რომელიც შედგენილია ცენტრსა და საერთაშორისო ექსპერტს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასური გადაიხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ცენტრის საბანკო ანგარიშზე შეტანის გზით.

დანართი №5

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 08.07.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 31 მაისის ბრძანება №93/ნ - ვებგვერდი, 03.06.2024წ.

(ერთვის დანართი ფაილის სახით)

დანართი №6

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №141/ნ - ვებგვერდი, 30.08.2024წ.

(ერთვის დანართი ფაილის სახით)

სარჩევი

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 2

1.1 პროგრამის მიზნები 2
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები 3
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი 3
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 5
1.5 სასწავლო კურსი/საგანი 6

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 6

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები 7
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება 7
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები 8
2.4 სტუდენტების შეფასება 9

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 11

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები 11
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა 12

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 13

4.1 ადამიანური რესურსი 13
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია 15
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება 16
4.4 მატერიალური რესურსი 18
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა 19

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 19

5.1 შიდა ხარისხის შეფასება 19
5.2 გარე ხარისხის შეფასება 20
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება 21

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		
პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. **კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.**		
აღწერილობა	**შეფასების კრიტერიუმი**	**ინდიკატორი/მტკიცებულებები**
1.1 პროგრამის მიზნები		
პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.	პროგრამის მიზნები: ▪ ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია; ▪ ითვალისწინებს სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს; ▪ ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა; ▪ ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში; ▪ შეესაბამება უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის და/ან მისი სტრუქტურული ერთეულის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას; ▪ ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის სფეროს და/ან სწავლების საფეხურის თავისებურებიდან გამომდინარე, ასახავს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს; ▪ საჯარო და ხელმისაწვდომია;	▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის /ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის და/ან მისი სტრუქტურული ერთეულის მისია, მიზნები და სტრატეგია; ▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ▪ ვებ გვერდი; ▪ ინტერვიუს შედეგები.

	▪ გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.	
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები		
პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.	პროგრამის სწავლის შედეგები: ▪ შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას; ▪ არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური; ▪ შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, დეტალური სფეროს აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; ▪ ეყრდნობა კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ▪ შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას; ▪ შეესაბამება სწავლის სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; ▪ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება თანამშრომლობითი პროცესია და მასში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა); ▪ კლასტერში დაჯგუფებული სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები სირთულის, კომპლექსურობისა და სწავლის სფეროს შინაარსის თვალსაზრისით არის თანმიმდევრული, და ვითარდება შესაბამისი საფეხურების გათვალისწინებით; ▪ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას.	▪ საგანმანათლებლო პროგრამა/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები; ▪ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ▪ პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ▪ კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაცია (მოქმედი პროგრამის შემთხვევაში); ▪ კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი; ▪ სასერტიფიკატო/სალიცენზიო /დიპლომის შემდგომი გამოცდების (არსებობის შემთხვევაში) შედეგები; ▪ ვებ გვერდი; ▪ ინტერვიუს შედეგები.
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი		
განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების	• სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ	▪ დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომი სწავლის

მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.	სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით; ▪ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს სწავლის სფეროსა და საფეხურის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს (პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები), რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა; ▪ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებელი, კურსდამთავრებულები, პროფესიული ასოციაციები და სხვა) ჩართულობა; ▪ პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის; ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება; ▪ პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს; ▪ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის; ▪ უსდ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის გაცნობას დაინტერესებული პირებისთვის.	შედეგების შეფასების მექანიზმი; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; ▪ სწავლის შედეგების შეფასების შედეგები და ანალიზი; ▪ სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალები; (სტუდენტთა ნაშრომები); ▪ კურიკულუმის რუკა; ▪ სამიზნე ნიშნულები; ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ კურსდამთავრებულების, და დამსაქმებლების, არსებობის შემთხვევაში - პროფესიული ასოციაციების გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიუს შედეგები.
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.	▪ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის და/ან რესურსების განახლებასა და განვითარებას.	▪ სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავებული ინსტრუმენტები და მექანიზმები; ▪ სწავლის შედეგების შეფასების (არსებობის შემთხვევაში) შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანალიზი; ▪ სწავლის შედეგების შეფასების

		შედეგების განხილვის დამადასტურებელი მასალები (ოქმები და სხვა); ▪ ინტერვიუს შედეგები.
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი		
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.	▪ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; ▪ პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს; ▪ პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად; ▪ პროგრამის შინაარსი ან/და სტრუქტურა ან/და რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას; ▪ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; ▪ ძირითადი სწავლის სფეროს კონცენტრაციის/მოდულის (არსებობის შემთხვევაში) სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; ▪ პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული; პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი/საგანი) არის ლოგიკურად დალაგებული და შინაარსობრივად ვითარდება; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური; ▪ პროგრამა ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებსა და სფეროს თანამედროვე მიღწევებს; ▪ პროგრამის შინაარსი პროგრამის სწავლის სფეროსა და საფეხურის თავისებურებებიდან გამომდინარე ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს; ▪ პროგრამის შემუშავება და განვითარება თანამშრომლობითი	▪ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ან/და წესი; ▪ საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით; ▪ კურიკულუმის რუკა; ▪ პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები; ▪ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით გათვალისწინებული აქტივობები და კომპონენტები, მაგალითად: უცხოენოვანი ლიტერატურის, სამეცნიერო სტატიების გამოყენება, უცხო ენაზე დარგობრივი საგნების არსებობა, პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შედარება საზღვარგარეთ არსებულ ანალოგიურ პროგრამებთან, პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესებში უცხოელი პროფესორების ჩართულობა და სხვა. ▪ ვებგვერდი; ▪ ინტერვიუს შედეგები.

	პროცესია და მასში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა); ▪ უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.	
1.5 სასწავლო კურსი/საგანი		
სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.	▪ ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსის/საგნის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; ▪ თითოეული სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის/საგნის სწავლის შედეგებს; ▪ თითოეული სასწავლო კურსისთვის/საგნისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, შეესაბამება ამ კურსის/საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის/საგნის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება ამ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ▪ სასწავლო კურსის/საგნის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება.	▪ საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით; ▪ კურიკულუმის რუკა; ▪ სასწავლო კურსის/საგნის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები; ▪ ინტერვიუს შედეგები.
სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.	▪ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის/საგნის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; ▪ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება სწავლის სფეროს მიღწევებს და სასწავლო კურსის/საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე მოიცავს თანამედროვე კვლევებს შესაბამის სფეროში.	▪ საგანმანათლებლო პროგრამა, თანდართულ სილაბუსებში ასახული სასწავლო მასალა/რესურსი, საერთაშორისო ელექტრონულ-საბიბლიოთეკო ბაზები; ▪ ინტერვიუს შედეგები.
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.		

აღწერილობა	შეფასების კრიტერიუმი	ინდიკატორი/მტკიცებულებები
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები		
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.	• პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას; • პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; • პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, სწავლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან; • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია სტუდენტთა მიღება კომისიური წესით; • უსდ განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას; • პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად; • პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.	• საგანმანათლებლო პროგრამა; • ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები; • სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კომისიის შემადგენლობის ფორმირებისა და საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი; • საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია; • ინტერვიუს შედეგები.
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება		
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/	▪ პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, და/ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო უნარების გამომუშავებას/სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას;	▪ სამეცნიერო-კვლევით/შემოქმედებითი /საშემსრულებლო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის შესახებ ინფორმაცია;

შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.	▪ პროგრამის პრაქტიკული /შემოქმედებითი/საშემსრულებლო კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და შეესაბამება სწავლების საფეხურს; ▪ პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და სამეცნიერო-კვლევით/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტში ჩართვის შემთხვევაში, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას; ▪ პრაქტიკის ობიექტებთან, დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები /მემორანდუმები ან/და მათი დანართები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანს, შედეგს და ხანგრძლივობას; პრაქტიკის ობიექტებთან, დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/ მემორანდუმები ან/და მათი დანართები ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	▪ არსებობის შემთხვევაში, სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები; ▪ სტუდენტური კონფერენციები, გამოფენები, განხორციელებული შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტები და ა. შ.; ▪ არსებობის შემთხვევაში განხორციელებული პრაქტიკა და პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია; ▪ კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაცია; ▪ შესაბამისი ხელშეკრულებები/ მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან; ▪ დაფინანსებული/ მიმდინარე/ დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები და სტუდენტთა ჩართულობის დამადასტურებელი ინფორმაცია; ▪ ინტერვიუს შედეგები.
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები		
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.	▪ პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის/საგნის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს (არსებობის შემთხვევაში) და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; ▪ სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას, პერსონალსა და სტუდენტებს, ასე სტუდენტებს შორის ინტერაქციას ითვალისწინებს სწავლის პროცესში სტუდენტის	▪ საგანმანათლებლო პროგრამა/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები; ▪ სწავლება-სწავლის მეთოდები; ▪ ინდივიდუალური გეგმები (არსებობის შემთხვევაში); ▪ პროგრამის განხორციელებისთვის უსდ-ში არსებული ელექტრონული

	მონაწილეობას სათანადო ავტონომიურობით და პასუხისმგებლობით და მიმართულია სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარების, მათ შორის - კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე; ▪ სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა; ▪ საერთაშორისო სტუდენტების არსებობის შემთხვევაში, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი ითვალისწინებს მათ კულტურულ და/ან სხვა საჭიროებებს სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებისას; ▪ საჭიროების შემთხვევაში, უსდ უზრუნველყოფს ელექტრონულ/დისტანციურ სწავლებას პროგრამის სწავლის სფეროსათვის რელევანტური სწავლების მეთოდებით რომლებიც არ იწვევს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ცვლილებას.	რესურსები; ▪ ინტერვიუს შედეგები.
2.4 სტუდენტების შეფასება		
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.	▪ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი; ▪ თითოეული სასწავლო კურსის/საგნის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის/საგნის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის/საგნის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას; სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ნაშრომის დაცვისა და შეფასების გამჭირვალე და სამართლიან პროცედურებს, რომელიც ეფუძნება კოლეგიალურ შეფასებას კომისიური წესით; ▪ შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები არის გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია	▪ შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები; ▪ სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემა/პორტალი; ▪ სადოქტორო/სამაგისტრო /კვლევითი ნაშრომების შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელი წესი; ▪ სადისერტაციო კომისიის ფორმირებისა და საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი,

	სტუდენტისათვის; ▪ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შედეგების გაუმჯობესების შესახებ; ▪ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებას მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ; ▪ სადისერტაციო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით კომისიური წესით; ▪ სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლის/შემფასებლების მონაწილეობა; ▪ სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა; ▪ ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები წინასწარ ცნობილია სტუდენტებისათვის და გათვალისწინებულია სტუდენტთა ნაშრომების შეფასებისას; ▪ სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება უსდ-ში არსებული აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის და რეაგირების მექანიზმები; ▪ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რომელიც წინასწარ ცნობილია სტუდენტთათვის; ▪ სტუდენტის შეფასების გასაჩივრების პროცესი არის გამჭვირვალე და ობიექტური. გასაჩივრების პროცესი შესაძლოა ითვალისწინებდეს შეფასების შედეგების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას სხვა შემფასებლის/შემფასებლების მიერ; ▪ ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად; ▪ საჭიროების შემთხვევაში, უსდ სტუდენტთა შეფასებას უზრუნველყოფს ელექტრონული/დისტანციური მეთოდის გამოყენებით კომპონენტის თავისებურების და შინაარსის გათვალისწინებით;	კომისიის შემადგენლობა; ▪ შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა; ▪ შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები; ▪ ნაშრომის აკადემიური სტილის დაცვით შესრულების წესი/მეთოდური სახელმძღვანელო; ▪ პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის და რეაგირების მექანიზმი; ▪ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები; ▪ ვებგვერდი; ▪ ინტერვიუს შედეგები.

	▪ უსდ, მათ შორის, ელექტრონული/დისტანციური სწავლების დროს, უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასებების სანდოობისა და ვალიდურობის მონიტორინგს.	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		
პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.		
აღწერილობა	**შეფასების კრიტერიუმი**	**ინდიკატორი/მტკიცებულებები**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები		
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.	• სტუდენტი იღებს, სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. დაწესებულების პერსონალი, მათ შორის, პროგრამაში ჩართული პირები ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ; • უსდ უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის, ასევე, არსებობის შემთხვევაში საერთაშორისო სტუდენტებისათვის შიდა საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრირებას; • პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, საშემსრულებლო-შემოქმედებით აქტივობებში, კონფერენციებსა და საფეხურის დონის შესაბამის კვლევებში; აგრეთვე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით; • სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, რომელიც შეესაბამება მათ	▪ დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები; ▪ საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ (პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეულ ი/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი, ფაკულტეტის/სკოლის კოორდინატორი, ტუტორი ან სხვა) პირთა დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები; ▪ ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის დოკუმენტები/ინფორმაცია; ▪ ვებ გვერდი; ▪ ინტერვიუს შედეგები.

	სასწავლო და კვლევის მიზნებს; • • აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული /ადმინისტრაციული ან სხვა პერსონალი კონსულტაციებს უწევს სტუდენტებს სასწავლო პროცესთან და ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით.	
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა		
სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.	▪ უსდ-ს შემუშავებული აქვს მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელის და არსებობის შემთხვევაში - თანახელმძღვანელის, დანიშვნის, შეცვლის, უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის /თანახელმძღვანელობის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები; ▪ ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს მაგისტრატურისა/დოქტორანტურის სტუდენტებთან. კონსულტაციების რაოდენობა შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება, სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა და სხვა; ▪ თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტს/დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და მაგისტრანტთან/დოქტორანტთან შეთანხმების საფუძველზე; ▪ უსდ-ს შემუშავებული აქვს სამაგისტრო და სადოქტორო	▪ მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის ხელშეკრულების ფორმა და/ან ხელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის და უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი; ▪ ჩატარებული კონსულტაციები; ▪ სამაგისტრო/ სადოქტორო პროგრამაზე ხელმძღვანელისა მაგისტრანტის/დოქტორანტის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; ▪ ხელმძღვანელებისა და აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა; ▪ ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები და შეფასების შედეგები; ▪ საჯარო ინფორმაცია ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესებისა და პუბლიკაციების შესახებ;

	პროგრამაზე სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისა და მაგისტრატთა/დოქტორანტთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეფექტურად წარმართვას; ▪ უსდ-ს შემუშავებული აქვს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას და განვითარებას.	▪ ინტერვიუს შედეგები.
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		
საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.		
აღწერილობა	**შეფასების კრიტერიუმი**	**ინდიკატორი/მტკიცებულებები**
4.1 ადამიანური რესურსი		
უსდ-ში არსებული პერსონალის მართვის პოლიტიკა და შერჩევის პროცედურები, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას.	▪ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პროგრამაში ჩართულია კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს მათ არჩევას/დანიშვნას, გამჭვირვალე, სამართლიანი ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად; ▪ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ▪ პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან; ▪ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (მონოგრაფია, სახელმძღვანელო,	▪ უსდ-ში არსებული პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები; ▪ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ▪ პერსონალის პირადი საქმეები; ▪ პერსონალის საკონკურსო მასალები; ▪ აფილირების წესი და პირობები და აფილირებული პერსონალის ხელშეკრულების ნიმუში; ▪ ინფორმაცია რეფერირებად ჟურნალებში, მათ შორის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებების

	რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა; სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი) და/ან პრაქტიკული პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას; ▪ მოწვეული პერსონალის, ან მასწავლებლის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით.	შესახებ/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო პროექტები; ▪ ინტერვიუს შედეგები.
პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური აფილირებული /აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/ მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.	▪ პროგრამას გააჩნია აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე (აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული); ▪ აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალის სრული დატვირთვა, მათ შორის, კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დატვირთვა, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლ პერსონალზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას; ▪ აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისთვის გამოყოფილი საათები; ▪ აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში; ▪ აკადემიურ, მათ შორის აფილირებული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს	▪ აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის (მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალის, ასევე მაგისტრანტთა, დოქტორანტთა ხელმძღვანელების) დატვირთვის სქემა, რომელიც ითვალისწინებს პირის დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც; ▪ პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; ▪ აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე/პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით; ▪ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით; ▪ პროგრამით გათვალისწინებულ მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე გამყვან სასწავლო/სამეცნიერო

	პროგრამის მდგრადობას; ▪ მაგისტრანტების/ დოქტორანტების რაოდენობა შეესაბამება მათი ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვას; ▪ აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დენადობის ინტენსიურობის მაჩვენებელი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ▪ უსდ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მაჩვენებლების, მათ შორის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალის დენადობის მაჩვენებლების შესწავლას, ანალიზს და შედეგებს იყენებს პროგრამის მდგრადობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	კომპონენტებში ჩართული აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან; ▪ აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი (მოქმედი პროგრამის შემთხვევაში) და შედეგების ანალიზი; ▪ უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში პერსონალის შესახებ ასახული ინფორმაცია; ▪ ინტერვიუს შედეგები.
პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.	• პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის საფეხურის შესაბამისად პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება მისი კომპეტენცია დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და/ან სამეცნიერო ნაშრომებით; • პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.	▪ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პირადი საქმე; ▪ ინტერვიუს შედეგები.
პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.	▪ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით; ▪ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.	▪ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა; ▪ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი; ▪ ინტერვიუს შედეგები.
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია		
მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს	▪ უსდ-ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მოთხოვნების	▪ მაგისტრანტებისა და დოქტორანტების

კვალიფიციური ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.	გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო/სადოქტორო საფეხურის მოთხოვნებს და ეხმიანება პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას; ▪ სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული მაგისტრანტის/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება მაგისტრანტის/დოქტორანტის სამაგისტრო/ სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკასა და მიმართულებას; ▪ სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული მაგისტრანტის/დოქტორანტის სამეცნიერო თანახელმძღვანელი არსებობის შემთხვევაში არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი) ან გააჩნია შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, რომელიც შეესაბამება მაგისტრანტის/დოქტორანტის სამაგისტრო/ სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკასა და მიმართულებას;	ხელმძღვანელების და თანახელმძღვანელების პირადი საქმეები და მათ მიერ განხორციელებული კვლევების დამადასტურებელი დოკუმენტები; ▪ ხელმძღვანელების პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო პროექტები, საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული მონოგრაფიები; ▪ თანახელმძღვანელის პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო პროექტები ან პროფესიული გამოცდილება; ▪ ინტერვიუს შედეგები.
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება		
დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.	▪ უსდ რეგულარულად აწარმოებს, აანალიზებს და აქტიურად იყენებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს; ▪ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, შეფასება მოიცავს როგორც მათი სასწავლო, კვლევითი, ასევე საშემსრულებლო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასებას; ▪ შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის;	▪ პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში;

	▪ შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პერსონალის დაწინაურებისა და წახალისების მექანიზმების გამოყენებისას.	▪ ინტერვიუს შედეგები.
უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.	▪ აკადემიური, სამეცნიერო, მათ შორის, პროგრამის ხელმძღვანელების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელების, ასევე საჭიროების შემთხვევაში მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები; ▪ უსდ-ში აკადემიური, სამეცნიერო ან/და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი/ საშემსრულებლო-შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების ხელშესაწყობად შექმნილია აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები და სხვა); ▪ უსდ ხელს უწყობს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო პერსონალის, მათ შორის, მაგისტრანტების/ დოქტორანტების ხელმძღვანელების მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში; ▪ უსდ საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ელექტრონული/დისტანციური სწავლება-სწავლის/შეფასების მეთოდების ეფექტურად გამოყენების მიზნით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადამზადებას.	▪ უსდ - ს მიერ დაგეგმილი/ განხორციელებული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ, და/ან სწავლების/ელექტრონული /დისტანციური სწავლება-სწავლის/შეფასების მეთოდების უნარის განვითარებას); ▪ სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები; ▪ უსდ - ს ორგანიზებით ჩატარებულ საერთაშორისო ან/და სამეცნიერო/კვლევით პროექტებში კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი; ▪ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საერთაშორისო კვლევები, უსდ - სთან აფილირებით გამოქვეყნებული შრომები, საერთაშორისო მობილობის

		მაჩვენებელი, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამები, ორმხრივი შეთანხმებები, მემორანდუმები, და სხვა); ▪ ინტერვიუს შედეგები.
4.4 მატერიალური რესურსი		
პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.	• პროგრამა/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას; • უსდ ზრუნავს პროგრამის საბიბლიოთეკო, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსების განახლებაზე; • ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის, ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; • სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, ციფრული რესურსი, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი სფეროს თანამედროვე სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად; • მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსები თავისუფლად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის; • სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ; • საგანმანათლებლო პროცესში ელექტრონული/ დისტანციური სწავლა-სწავლების/შეფასების მეთოდების გამოყენებისას,	• საბიბლიოთეკო, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსი და მათი ფლობის/ლიცენზიის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები; • ტექნიკური აღჭურვილობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან; • საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა და მისი დამადასტურებელი დოკუმენტი; • ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან; • საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის გამოყენების მაჩვენებლები; • ინტერვიუს შედეგები.

	უსდ ხელს უწყობს, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი და სტუდენტები უზრუნველყოფილები იყვნენ შესაბამისი რესურსებით.	
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა		
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.	▪ საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტში გაწერილია უსდ-ს მიერ პროგრამის მხარდაჭერა. ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ▪ ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული, ასევე - ერთჯერადი.	▪ საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების წყაროები; ▪ უსდ-ს ბიუჯეტი; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის/ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების /ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი; ▪ ინტერვიუს შედეგები.
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		
სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.		
აღწერილობა	**შეფასების კრიტერიუმი**	**ინდიკატორი/მტკიცებულებები**
5.1 შიდა ხარისხის შეფასება		
სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების, პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.	▪ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურები ეფუძნება პრინციპს - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე (PDCA)“; ▪ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში; ▪ პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს; ▪ პროგრამის/ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის შედგენა თანამშრომლობითი პროცესია, რომელშიც ჩართულია	▪ საჯაროდ ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურები; ▪ შიდა ხარისხის (როგორც უსდ-ის, ასევე ფაკულტეტის/სკოლის) მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები; ▪ პროგრამასთან/კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები (სტუდენტების პროფილები,

	აკადემიური პერსონალი, სამეცნიერო პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ასევე საჭიროების შემთხვევაში მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი და ადმინისტრაციული პერსონალი; ▪ შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე; ▪ უსდ ელექტრონული/დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, უზრუნველყოფს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტირებას და მათ სათანადო დანერგვას.	სტუდენტების პროგრესია, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მაჩვენებელი, სტუდენტების კმაყოფილება თავიანთ პროგრამასთან მიმართებაში, კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაცია და სხვა); ▪ თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები; ▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ▪ ელექტრონულად/დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასების მეთოდოლოგია; ▪ ვებგვერდი; ▪ ინტერვიუს შედეგები.
5.2 გარე ხარისხის შეფასება		
პროგრამა პერიოდულად აანალიზებს გარე ხარისხის შეფასების, მიღებული რეკომენდაციების შესრულების შედეგებს, რომელსაც იყენებს პროგრამის განვითარებისთვის.	▪ პროგრამა პერიოდულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს და უზრუნველყოფს შედეგების გამოყენებას პროგრამის გაუმჯობესებისათვის; ▪ უსდ განიხილავს და ითვალისწინებს აკრედიტაციის/ავტორიზაციის (ეროვნული და/ან საერთაშორისო) დროს მიღებულ რეკომენდაციებს; ▪ საჭიროების შემთხვევაში პროგრამა იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას (სხვა უსდ-ებში/სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტებში დასაქმებული ადგილობრივი და/ან	▪ გარე ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების, რეკომენდაციების შესრულების შედეგების ანალიზიდა განხორციელებული აქტივობები; ▪ განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება, შედეგად განხორციელებული ცვლილებები; ▪ ვებგვერდი;

	საერთაშორისო კოლეგების მიერ) პროგრამის/კვლევითი გარემოს გაუმჯობესების მიზნით.	▪ ინტერვიუს შედეგები.
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება		
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.	▪ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით; ▪ შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე პროგრამის და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად; ▪ საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით დაგეგმილი პერიოდულობით ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კოლეგიალური, განმავითარებელი შეფასება, რომელიც, მათ შორის, მოიცავს იმავე პროგრამის, სხვა პროგრამის იმავე უსდ-დან, ან სხვა უსდ-დან მოწვეული პირის მიერ ლექციაზე დასწრებას; ▪ დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის/საგნის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ (კითხვარების მეშვეობით ან სხვა) აღნიშნულ კურსს/საგანს; ▪ სამაგისტრო/ სადოქტორო პროგრამის სტუდენტები აფასებენ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, ასევე, სამეცნიერო ხელმძღვანელობის განხორციელებას; ▪ პერიოდულად ხდება პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა; ▪ მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური	▪ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი; ▪ არსებობის შემთხვევაში კოლეგიალური შეფასების დასკვნა და დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შედეგად განხორციელებული ცვლილებები; ▪ აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების შედეგები; ▪ სასწავლო კურსის/საგნის შეფასების მიზნით, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები; ▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიუს შედეგები.

	მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.	

დანართი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერად დაჯგუფების წესი და პირობები

მუხლი 1. საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერად დაჯგუფების წესი

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის მიზნით, ცენტრში ამ დებულების მე-20 პუნქტის შესაბამისად წარდგენილ სააკრედიტაციო განაცხადში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ (შემდგომში - სწავლის სფეროების კლასიფიკატორი) მიხედვით კლასიფიცირებული, შინაარსობრივი ნიშნით (პროგრამის შინაარსი, სწავლის მიზნები და შედეგები) გაერთიანებული არაუმეტეს რვა საგანმანათლებლო პროგრამა, შესაძლებელია დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

ა) ბაკალავრიატის ან/და მაგისტრატურის, ან/და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები;

ბ) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები;

გ) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები;

დ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები;

ე) დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები ან/და სტომატოლოგიის სწავლის სფეროს მისანიჭებელი კვალიფიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები;

ვ) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, ან/და სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, ან/და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა/პროგრამები, ან/და 011 განათლების ვიწრო სფეროს დეტალურ სფეროებში კლასიფიცირებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები;

ზ) ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან/და ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამა, ან/და ვეტერინარიის სწავლის სფეროს მისანიჭებელი კვალიფიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერად დაჯგუფების პირობები

1. ამ დანართის 1-ლი მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერად დაჯგუფება შესაძლებელია განხორციელდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებულ ვიწრო ან/და დეტალურ სფეროში (გარდა ინტერდისციპლინურ და არაკლასიფიცირებულ სწავლის სფეროებში კლასიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამებისა); ხოლო „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების შესაბამისად განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერად დაჯგუფება შესაძლებელია განხორციელდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებულ დეტალურ სფეროში;

2. ინტერდისციპლინური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის, საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერად გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამის შინაარსის, სწავლის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ ვიწრო ან/და დეტალურ სფეროში. ინტერდისციპლინური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერად გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დაწესებულება ითვალისწინებს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით დადგენილ მოთხოვნებს;

3. არაკლასიფიცირებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერად გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამის შინაარსის, სწავლის მიზნებისა და შედეგების შესაბამისად სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებულ ვიწრო ან/და დეტალურ სფეროში;

4. საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერად დაჯგუფების პირობების განსაზღვრა ხდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული ფართო, ვიწრო ან/და დეტალური სფეროების მიხედვით შემდეგი სახით:

ფართო სფერო	ვიწრო სფერო	დეტალური სფერო	ფართო სფეროს/ ვიწრო სფეროს/ დეტალური სფეროს მიხედვით დაჯგუფება
01 განათლება	011 განათლება	0111 - განათლების მეცნიერება	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 011 განათლების მიხედვით
		0112 - სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება	
		0113 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციის გარეშე	
		0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით	
		0119 განათლება – არაკლასიფიცირებული	
		მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	
		სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	
02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები	021 ხელოვნება	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0213 სახვითი ხელოვნება	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროების მიხედვით
		0214 - გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა)	
		0215 - მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით

		0219 - ხელოვნება - არაკლასიფიცირებული	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 021 ხელოვნების მიხედვით
	022 ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენების გარეშე)	0221 - რელიგია და თეოლოგია	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0222 - ისტორია და არქეოლოგია	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0223 - ფილოსოფია და ეთიკა	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0229 ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენების გარეშე) – არაკლასიფიცირებული	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 022 ჰუმანიტარული მეცნიერებების (ენების გარეშე) მიხედვით
	023 ენები	0231 - ენის დაუფლება	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0232 - ლიტერატურა და ლინგვისტიკა	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0239 - ენები- არაკლასიფიცირებული	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 023 ენების მიხედვით
	028 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ხელოვნებასა და	0288 - ინტერდისციპლინური - მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს	პროგრამები ჯგუფდება 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებების ფართო სფეროში არსებული რომელიმე დეტალური სფეროს მიხედვით

	ჰუმანიტარულ მეცნიერებებს		
03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია	031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები	0311 - ეკონომიკა	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0313 - ფსიქოლოგია	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0314 - სოციოლოგია და კულტურის კვლევები	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0319 - სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებების მიხედვით
	032 ჟურნალისტიკა და ინფორმაცია	0321 - ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0322 - საბიბლიოთეკო, საარქივო კვლევები და ინფორმაციის მართვა	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0329 ჟურნალისტიკა და ინფორმაცია – არაკლასიფიცირებული	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 032 ჟურნალისტიკა და ინფორმაციის მიხედვით
	038 ინტერდისციპლინური	0388 - ინტერდისციპლინური - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას	პროგრამები ჯგუფდება 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაციის ფართო სფეროში არსებული

			რომელიმე დეტალური სფეროს მიხედვით
04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი	041 ბიზნესი და ადმინისტრირება	0411 - საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 041 ბიზნესი და ადმინისტრირების მიხედვით
		0412 - ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა	
		0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება	
		0414 - მარკეტინგი და რეკლამა	
		0415 - სამდივნო და საოფისე საქმე	
		0416 - საბითუმო და საცალო გაყიდვები	
		0417 - შრომითი უნარები	
		0419 - ბიზნესი და ადმინისტრირება – არაკლასიფიცირებული	
	042 სამართალი	0421 - სამართალი	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 042 სამართლის მიხედვით
		0429 - სამართალი – არაკლასიფიცირებული	
	048 ინტერდისციპლინური	0488 ინტერდისციპლინური – მოიცავს ბიზნესს, ადმინისტრირებას და სამართალს	პროგრამები ჯგუფდება 04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართლის ფართო სფეროში არსებული რომელიმე

			დეტალური სფეროს მიხედვით
05 საბუნებისმეტყვე-ლო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა	051 ბიოლოგიური და მასთან დაკავშირებული მეცნიერებები	0511 - ბიოლოგია/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0512 - ბიოქიმია	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0519 - ბიოლოგიური და მასთან დაკავშირებული მეცნიერებები – არაკლასიფიცირებული	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 051 ბიოლოგიური და მასთან დაკავშირებული მეცნიერებების მიხედვით
	052 გარემო	0521 - გარემოსმცოდნეობა	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროების მიხედვით
		0522 - ბუნებრივი გარემო და ველური ბუნება	
		0529 - გარემო - არაკლასიფიცირებული	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 052 გარემოს მიხედვით
	053 ფიზიკური მეცნიერებები	0531 - ქიმია	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0532 - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0533 - ფიზიკა	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0539 ფიზიკური მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 053 ფიზიკური მეცნიერებების მიხედვით

	054 მათემატიკა და სტატისტიკა	0541 - მათემატიკა	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 054 მათემატიკა და სტატისტიკის მიხედვით
		0542 - სტატისტიკა	
		0549 - მათემატიკა და სტატისტიკა - არაკლასიფიცირებული	
	058 ინტერდისციპლინური	0588 - ინტერდისციპლინური - მოიცავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, მათემატიკას და სტატისტიკას	პროგრამები ჯგუფდება 05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკის ფართო სფეროში არსებული რომელიმე დეტალური სფეროს მიხედვით
06 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები	061 ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები	0611 - კომპიუტერის გამოყენება	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 061 ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მიხედვით
		0612 - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება	
		0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი	
		0619 - ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები - არაკლასიფიცირებული	
	068 ინტერდისციპლინური	0688 ინტერდისციპლინური – მოიცავს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებს	პროგრამები ჯგუფდება 06 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ფართო სფეროში არსებული რომელიმე დეტალური სფეროს მიხედვით

07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა	071 ინჟინერია და საინჟინრო საქმე	0711 - ქიმიური ინჟინერია და პროცესები	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0712 - გარემოს დაცვის ტექნოლოგია	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0713 - ელექტრობა და ენერგია	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0714 - ელექტრონიკა და ავტომატიზაცია	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0715 - მექანიკა და ლითონის საქმე	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0716 - მრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0719 - ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 071 ინჟინერია და საინჟინრო საქმის მიხედვით
	072 წარმოება და გადამუშავება	0721 - სურსათის გადამუშავება	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0722 - მასალები (ხე, ქაღალდი, პლასტმასი, მინა)	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0723 - ტექსტილი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავი)	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0724 - სამთო საქმე და მოპოვება	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით

		0729 - წარმოება და გადამუშავება – არაკლასიფიცირებული	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 072 წარმოება და გადამუშავების მიხედვით
	073 არქიტექტურა და მშენებლობა	0731 - არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 073 არქიტექტურა და მშენებლობის მიხედვით
		0732 - მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია	
		0739 - არქიტექტურა და მშენებლობა - არააკლასიფიცირებული	
	078 ინტერდისციპლინური	0788 - ინტერდისციპლინური - მოიცავს ინჟინერიას, წარმოებას და მშენებლობას	პროგრამები ჯგუფდება 07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობის ფართო სფეროში არსებული რომელიმე დეტალური სფეროს მიხედვით
08 სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია	081 სოფლის მეურნეობა	0811 - მემცენარეობა და მეცხოველობა	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 081 სოფლის მეურნეობის მიხედვით
		0812 - მებაღეობა	
		0819 - სოფლის მეურნეობა – არაკლასიფიცირებული	
	082 მეტყევეობა	0821 - მეტყევეობა	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 082 მეტყევეობის მიხედვით
		0829 მეტყევეობა – არაკლასიფიცირებული	
	083 მეთევზეობა	0831 მეთევზეობა	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 083 მეთევზეობის

		0839 მეთევზეობა – არაკლასიფიცირებული	მიხედვით
	084 ვეტერინარია	0841 - ვეტერინარია	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 084 ვეტერინარიის მიხედვით
		0849 ვეტერინარია – არაკლასიფიცირებული	
		ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	
	088 ინტერდისციპლინური	0888 - ინტერდისციპლინური - მოიცავს სოფლის მეურნეობას მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარია	პროგრამები ჯგუფდება 08 სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარიის ფართო სფეროში არსებული რომელიმე დეტალური სფეროს მიხედვით
09 ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა	091 ჯანდაცვა	0911 - დენტალური მედიცინა	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0912 მედიცინა [1]	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით

[1] 0912 დეტალურ სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების დაჯგუფება შესაძლებელია განხორციელდეს (გარდა დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამისა).

		0913 - საექთნო და სამეანო საქმე	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0915 - თერაპია და რეაბილიტაცია	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0916 - ფარმაცია	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0917 - ტრადიციული და ალტერნატიული მედიცინა და თერაპია	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		0919 - ჯანდაცვა - არაკლასიფიცირებული	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 091 ჯანდაცვის მიხედვით
	092 სოციალური კეთილდღეობა	0921 მოხუცებისა და სპეციალური საჭიროების მქონე ზრდასრულთა მოვლა	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 092 სოციალური კეთილდღეობის მიხედვით
		0922 ბავშვის მოვლა და მოზარდთა მომსახურებები	
		0923 - სოციალური მუშაობა და კონსულტაცია	
		0929 - სოციალური კეთილდღეობა – არაკლასიფიცირებული	
	098 ინტერდისციპლინური	0988 ინტერდისციპლინური – მოიცავს ჯანდაცვას და სოციალურ კეთილდღეობას	პროგრამები ჯგუფდება 09 ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობის ფართო სფეროში არსებული რომელიმე დეტალური სფეროს მიხედვით
10 მომსახურებები	101 პერსონალური მომსახურებები	1011 საშინაო (საოჯახო-საყოფაცხოვრებო) მომსახურება	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით

		1012 თმის და სილამაზის მომსახურებები	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		1013 სასტუმრო, რესტორანი და კვება	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროების მიხედვით 1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენებასთან ერთად
		1014 - სპორტი	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროების მიხედვით 1013 სასტუმრო, რესტორანი და კვებასთან ერთად
		1019 - პერსონალური მომსახურებები - არაკლასიფიცირებული	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 101 პერსონალური მომსახურებების მიხედვით
	102 ჰიგიენა და პროფესიული ჯანმრთელობის მომსახურებები	1021 - საზოგადოებრივი სანიტარია	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		1022 პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	პროგრამები ჯგუფდება დეტალური სფეროს მიხედვით
		1029 ჰიგიენა და პროფესიული ჯანმრთელობის მომსახურებები – არაკლასიფიცირებული	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 102 ჰიგიენა და პროფესიული ჯანმრთელობის მომსახურებების მიხედვით

	103 უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები	1031 - სამხედრო საქმე და თავდაცვა	
		1032 ადამიანებისა და საკუთრების დაცვა	
		1039 - უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები – არაკლასიფიცირებული	
	104 ტრანსპორტის მომსახურებები	1041 - ტრანსპორტის მომსახურებები	პროგრამები ჯგუფდება ვიწრო სფეროს 104 ტრანსპორტის მომსახურებების მიხედვით
		1049 - ტრანსპორტის მომსახურებები – არაკლასიფიცირებული	
	108 ინტერდისციპლინური	1088 ინტერდისციპლინური – მოიცავს მომსახურებებს	პროგრამები ჯგუფდება 10 მომსახურებების ფართო სფეროში არსებული რომელიმე დეტალური სფეროს მიხედვით

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტი

სარჩევი

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის მიზანი და პრინციპები 2

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა 3

1.1 მიზანი და სწავლის შედეგები 3

1.2 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი 4

1.3 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები 5

1.4 დოქტორანტის შეფასება 7

2. დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმები და ხელმძღვანელობა 9

2.1 დოქტორანტთა მხარდამჭერი სერვისები 9

2.2 დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობის განხორციელება ... 10

3. რესურსები 12

3.1 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი 12

3.2 სამეცნიერო ხელმძღვანელების კვალიფიკაცია 13

3.3 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება 14

3.4 მატერიალური რესურსი 15

4. ხარისხის უზრუნველყოფა 16

4.1 შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფა 16

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტი

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის მიზანი და პრინციპები

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის მიზანია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების მეშვეობით ხელი შეუწყოს სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას საქართველოში.

დოკუმენტი სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომლებიც ეფუძნება, როგორც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში გამოვლენილ საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას, ასევე „ზალცბურგი II რეკომენდაციებს“.

აღნიშნულ დოკუმენტში მოცემული ჩანაწერები არ შეიძლება განიმარტოს „ზალცბურგი II რეკომენდაციების“, სახელოვნებო კვლევებში ვენის დეკლარაციისა და ბოლონიის პროცესში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის სახელმძღვანელო დოკუმენტების საწინააღმდეგოდ.

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს:

- სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების ხარისხის ამაღლებასა და განვითარებას;
- დოქტორანტის საჭიროებებზე ორიენტირებული სასწავლო და კვლევითი გარემოს შექმნას;
- საუკეთესო ადილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით, სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სიღრმისეულ და სრულყოფილ შეფასებას;
- სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და თანმიმდევრული მიდგომების დამკვიდრებას;
- აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას და დოქტორანტის კარიერული განვითარების პროცესში ეთიკური პრინციპებით ხელმძღვანელობას;
- დაწესებულების სამეცნიერო პერსონალის ჩართულობას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებასა და განვითარებაში.

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი კრიტერიუმები გამოიყენება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად.

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

1.1 მიზანი და სწავლის შედეგები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით;
- სახელოვნებო - შემოქმედებითი სფეროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საშემსრულებლო და/ან შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის ორიგინალური პროექტის შექმნა თანმხლები კვლევითი კომპონენტით, რომელშიც ნათლად ჩანს დოქტორანტის თვითმყოფადი შემოქმედებითი ხედვა, მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და შემოქმედებითი კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა;
- სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 დონის აღმწერს;
- სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე აქვს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებით-კვლევითი მნიშვნელობა, არის ინოვაციური და პრაქტიკული/თეორიული ღირებულების მქონე.

ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის/შემოქმედებითი კვლევის განხორციელების სტრატეგია/კვლევის პოლიტიკის დოკუმენტი;
- საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტები, დაცული დისერტაციები და მათზე მიღებული გამოხმაურებები;
- ინტერვიუს შედეგები.

1.2 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს უსდ - ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობის/პროფესიული ქსელის ჩამოყალიბებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სწავლის სფეროს თავისებურებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან/და სხვა სახის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განაპირობებს მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, რომელიც საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს სამეცნიერო დარგებს შორის ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად: კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა;
  - უსდ - ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეფექტურად განხორციელებისათვის შემუშავებული აქვს: საკვლევი თემის შერჩევის, შეცვლის, სამეცნიერო-კვლევის კომპონენტის განხორციელების და წარდგენის მექანიზმი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის სფეროს/სფეროების შესაბამისად და დოქტორანტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას სათანადო დონეზე აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დაცვის გათვალისწინებით;
  - დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა, ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო

განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას;

- უსდ - ში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში მოქმედ კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- მოქმედი პროგრამის შემთხვევაში, კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მაჩვენებელი/ინფორმაცია ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე;
- სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული მიმდინარე და/ან დაგეგმილი სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის პროექტები;
- სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა შემდგომი საქმიანობის განხორციელების ანალიზი;
- დოქტორანტის ინდივიდუალური სამეცნიერო კვლევის/შემოქმედებითი კვლევის გეგმა;
- კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების და წარდგენის მეთოდოლოგია;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები და მექანიზმები;
- კვლევის ეთიკის კომისიის ან სხვა შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მუშაობის წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

1.3 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა, მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, ინფორმაციას ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების და დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმების და სხვა ასპექტების შესახებ;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კანდიდატების გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასება, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას მხედველობაში მიიღება ასევე უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგია;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია დოქტორანტთა მიღება კომისიური წესით;
- უსდ-ში განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების

მიღების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას - ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ-ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის/შემოქმედებითი კვლევის თეზისს/პროექტს. კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს დგინდება უცხო ენის ფლობის დონე, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამაზე პირის მიერ ინგლისური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნას არანაკლებ B1 დონეზე;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხდება უსდ-ში არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის გათვალისწინებით. ასევე, უსდ-ს მიერ მხედველობაში მიიღება პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები.

ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღების პროცედურა;
- დოქტორანტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის წინაპირობად დადგენილი უცხო ენის კომპეტენციის დამადასტურებელი მექანიზმები;
- ინფორმაცია სამეცნიერო ხელმძღვანელების კვლევითი/შემოქმედებითი კვლევითი ინტერესების შესახებ;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობის და გადაწყვეტილების მიღების წესი;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობა;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული განაცხადების რაოდენობა და ჩარიცხვის მაჩვენებელი; ხელმძღვანელების დატვირთვის სქემა, დოქტორანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიერ პროგრამის ვადაში დასრულების ანალიზის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების მსურველი პირის კვლევის თეზისი/პროექტი;
- უსდ-ს ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

1.4 დოქტორანტის შეფასება

- დოქტორანტების შეფასება ხდება უსდ - ში დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომელიც გამჭვირვალეა, სანდოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება სასწავლო კომპონენტის შინაარსისა და სადოქტორო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნისა და უნარების, მათ შორის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისა და დამოუკიდებლად გამოყენების, აზრის არგუმენტირებულად გადმოცემისა და სხვა უნარების შეფასებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის, ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების წინაპირობებს, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს;
- დოქტორანტის მიერ დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე დოქტორანტს მოეთხოვება შესაბამის კვლევის სფეროში არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;
- სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხდება დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდული დაკვირვება, განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის მიცემა;
- სადოქტორო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები, სადოქტორო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, წინასწარ ცნობილია დოქტორანტებისათვის და გათვალისწინებულია დოქტორანტთა ნაშრომების შეფასებისას;
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებისას უსდ იყენებს აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმებს;
- სადოქტორო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიური წესით - კომისიის/კომისიების მიერ;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა ან/და დაცვის პროცედურები ითვალისწინებს სადისერტაციო ნაშრომზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწესებულების (ადგილობრივი ან/და უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნებს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის შემდეგი სწავლის სფეროებისთვის: ქართული ფილოლოგია, აფხაზური ფილოლოგია, ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო

ხელმძღვანელი), რომელიც აფასებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო კვლევის/შემოქმედებითი ნაშრომის სიახლეს და მზაობას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის;

- ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და დანიშვნის მექანიზმები და პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა[1], რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის/საშემსრულებლო კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების მონაწილეობა. დაცვის კომისიის/კომისიების მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;
- სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შედიან - შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი;

[1] ანონიმურობა გულისხმობს, რეცენზიის გაცნობამდე დოქტორანტისთვის ან/და მისი ხელმძღვანელისთვის/თანახელმძღვანელისთვის რეცენზენტის ვინაობის კონფიდენციალურობას.

- სადოქტორო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და ღია; სადოქტორო ნაშრომის აბსტრაქტი/რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია კანდიდატთა პროგრამაზე ჩარიცხვისა და დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრება. გასაჩივრების პროცედურები საჯაროა და უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას;
- უსდ - ს მიერ შემუშავებულია რეცენზენტის მოძიების, დანიშვნისა და მისი საქმიანობის მექანიზმები;
- მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომების თემატიკის შესახებ და დაცული დისერტაციების შესახებ ინფორმაცია უსდ - ს მიერ განთავსებულია ერთიან ელექტრონულ პორტალზე.[2]

ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის და რეაგირების მექანიზმი;
- სადოქტორო ნაშრომების შეფასებისა და დაცვის პროცედურები;
- დოქტორანტის სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის შესრულების პროგრესის ამსახველი დოკუმენტები;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობის განსაზღვრის წესი;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობა;
- დისერტაციის დაცვის უწყისები/ოქმები;
- უსდ-ს ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

2. დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმები და ხელმძღვანელობა

2.1 დოქტორანტთა მხარდამჭერი სერვისები

- უსდ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან/ცენტრებთან/უსდ - ებთან, სადოქტორო სკოლებთან, ასევე, საჯარო და კერძო სექტორთან/ინდუსტრიასთან და სხვა პოტენციურ დამსაქმებელთან სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა სამუშაო ბაზარზე ინტეგრირებისა და კარიერული წინსვლის მიზნით;
- უსდ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქმნის სათანადო პირობებს და გარემოს საერთაშორისო მობილობის წახალისებისათვის და/ან საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და სხვა სამეცნიერო/შემოქმედებით აქტივობებში მონაწილეობისათვის, რაც მიზნად ისახავს ძლიერი და ინკლუზიური კვლევითი გარემოს განვითარებას და ხელს

[2] აღნიშნული ვალდებულება უსდ-ს წარმოეშობა ერთიანი ეროვნული ელექტრონული პორტალის ამოქმედების შემდგომ.

უწყობს კვლევის საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, კვლევის ინტერნაციონალიზაციას და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას.

- უსდ დოქტორანტებს საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს მხარდაჭერის დამატებით მექანიზმებს კურიკულუმის მიღმა ღონისძიებებისა და აქტივობის სახით, რომელიც მიმართულია დოქტორანტის პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარებისკენ;
- უსდ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს დოქტორანტების მხარდამჭერი ღონისძიებები, რომელიც საშუალებას აძლევს დოქტორანტს დაასრულოს სადოქტორო ნაშრომი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;
- უსდ დოქტორანტს საორიენტაციოდ აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამის საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო გამოცემების/ბაზების შესახებ. სახელოვნებო სფეროში ასევე, სახელოვნებო-შემოქმედებით ღონისძიებების (კონცერტი, ფესტივალი, კონკურსი, მასტერ-კლასი, გამოფენა, ბიენალე და სხვა) თაობაზე;
- უსდ პერიოდულობით ახდენს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მაჩვენებლების ანალიზს, რომლის შედეგებიც მიმართულია პროგრამის, რესურსებისა და დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმების განვითარებისაკენ;
- უსდ უზრუნველყოფს დოქტორანტების ინფორმირებას მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

ინდიკატორები

- უსდ - ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის/პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, ცენტრებთან, უსდ - ებთან თანამშრომლობით განხორციელებული კვლევები/პროექტები, შესაბამისი ხელშეკრულებები/დოკუმენტები;
- საერთაშორისო პროექტებში/საშემსრულებლო/შემოქმედებით აქტივობებში ჩართულობის, ასევე საერთაშორისო მობილობის და/ან საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და სხვა სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია;
- დოქტორანტებისათვის შეთავაზებული კურიკულუმის მიღმა აქტივობები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების და კარიერული განვითარების მაჩვენებელი და ანალიზის დოკუმენტი;
- უსდ-ს ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

2.2 დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობის განხორციელება

- ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას;

- უსდ-ს შემუშავებული აქვს დოქტორანტის ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, ხელმძღვანელობის /თანახელმძღვანელობის განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტები;
- უსდ - ს შემუშავებული აქვს დოქტორანტს, მის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს და უსდ-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების/შეთანხმების ფორმა, რომელშიც განსაზღვრულია ყველა მხარის უფლება-მოვალეობები; დოქტორანტის ხელმძღვანელობა გათვალისწინებულია შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საერთო საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში;
- ხელშეკრულების/შეთანხმების პირობები ხელს უწყობს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას;
- კვლევით პროცესში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტებთან კვლევის/შემოქმედებითი კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა;
- თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- კვლევის სპეციფიკის და საჭიროების გათვალისწინებით, უსდ ხელს უწყობს დოქტორანტის კვლევის/შემოქმედებითი კვლევის პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის, მათ შორის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის ჩართულობას ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სტატუსით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობის დაგეგმვისას, უსდ ითვალისწინებს ხელმძღვანელების დატვირთვას, დოქტორანტთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს, პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- უსდ შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისა და დოქტორანტთა რაოდენობის თანაფარდობის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეფექტურად განხორციელებას;
- უსდ - ს მიერ განსაზღვრული თანაფარდობა ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის არ აღემატება - 1:3-ს, ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე

დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნაშრომის წარდგენის მიზნით. აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე;

- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის შეფასების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას.

ინდიკატორები

- ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის შრომითი ხელშეკრულების/შეთანხმების ფორმა;
- ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის და უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი;
- სამმხრივი ხელშეკრულების/შეთანხმების ფორმა, რომელიც ფორმდება უსდ-ს, ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს და დოქტორანტს შორის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხელმძღვანელისა და დოქტორანტის თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ხელმძღვანელებისა და აქტიური სტატუსის დოქტორანტების თანაფარდობა;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში;
- დოქტორანტების სწავლის დასრულების მაჩვენებელი; განხორციელებული შეფასების შედეგები;
- საჯარო ინფორმაცია ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესებისა და პუბლიკაციების/საშემსრულებლო-შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის შესახებ;
- ხელმძღვანელის საქმიანობის შეფასების დოკუმენტი/დოკუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები.

3. რესურსები

3.1 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი. დაწესებულებამ პროგრამის განხორციელებაში, არსებობის შემთხვევაში, ასევე უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას;

- უსდ ხელს უწყობს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის მონაწილეობას;
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე აქვს სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში და არის დაწესებულების აფილირებული აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი.

ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები, პუბლიკაციები; პრაქტიკული/შემოქმედებითი /საშემსრულებლო პროექტებში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები; საკონკურსო მასალები;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები;
- ინტერვიუს შედეგები.

3.2 სამეცნიერო ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

- უსდ - ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქვს შესაბამის სფეროში აკადემიური ხარისხი, აქვს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა), ასევე აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, დოქტორანტის ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- დოქტორანტის ხელმძღვანელი, ასევე რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელმძღვანელი, წარმოადგენს დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხის მქონე უსდ-ს აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან/და სამეცნიერო პერსონალს. აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე;

- დოქტორანტის ხელმძღვანელს აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირი (ერთობლივი კვლევები/გრანტები/პროექტები, სამეცნიერო ასოციაციები/კავშირები/ საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებები);
- თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს;
- უსდ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისთვის პერიოდულად უზრუნველყოფს იმგვარი ღონისძიებების (ტრენინგი, სემინარი, სამუშაო შეხვედრა და სხვა) განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს ხელმძღვანელობის ეფექტურ განხორციელებას;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტების ხელმძღვანელების წახალისების მექანიზმები.

ინდიკატორები

- ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამსახველი დოკუმენტი;
- ხელმღვანელების დატვირთვის სქემა და ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი;
- ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობა;
- ხელმძღვანელების და თანახელმძღვანელების პირადი საქმეები და განხორციელებული სამეცნიერო კვლევების/საშემსრულებლო-შემოქმედებითი პროექტების დოკუმენტები;
- სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების პროფესიული განვითარების ღონისძიებების (ტრენინგი, სემინარი, სამუშაო შეხვედრა, და ა. შ.) ამსახველი დოკუმენტები;
- ხელმძღვანელთა წახალისების მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები.

3.3 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება

- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისათვის დოქტორანტის მხარდამჭერ და დაფინანსების მექანიზმებს;
- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური და/ან სამეცნიერო პერსონალის მიერ კვლევების განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ფინანსური მხარდაჭერის წყაროებს/მექანიზმებს, მათ შორის სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნების, სამეცნიერო კონფერენციებში, სამეცნიერო მივლინებებში, კვლევით/შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის, მონოგრაფიების გამოცემისთვის და სხვა სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობებისთვის საჭირო ფინანსური ხარჯების დაფინასებას;
- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტური განხორციელების მიზნით, ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი/სახელოვნებო ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- უსდ ხელს უწყობს გარე დაფინანსების წყაროების მოძიებას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიზნობრივი კვლევების განხორციელებისათვის.

ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების წყაროები;
- სამეცნიერო კვლევების და/ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტების შესრულებისთვის გათვალისწინებული დაფინანსება;
- ბიუჯეტში გათვალისწინებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული კვლევების, განვითარებისა და/ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების დინამიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მოზიდული გარე დაფინანსების წყაროები და განხორციელებული კვლევები/აქტივობები/პროექტები;
- ინტერვიუს შედეგები.

3.4 მატერიალური რესურსი

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით (სამეცნიერო ლაბორატორია, კომპიუტერული რესურსი, საინფორმაციო რესურსი, ციფრული რესურსი, დოქტორანტთა ინდივიდუალური სამუშაო სივრცეები და სხვა), რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის;
- დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც აძლევს მათ საშუალებას, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე სხვა ნებისმიერი ლოკაციიდან, ჰქონდეთ წვდომა და გაეცნონ კვლევის სფეროს შესაბამის სამეცნიერო რესურსებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;
- უსდ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით, ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის გაზიარებას, როგორც დაწესებულებაში, ასევე მის გარეთ, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის;
- უსდ მუდმივად ზრუნავს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის ინფრასტრუქტურის განახლებასა და განვითარებაზე.

ინდიკატორები:

- სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსები;
- საბიბლიოთეკო რესურსები;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა და მათი გამოყენების მაჩვენებლები;
- კვლევითი რესურსების გაზიარების პრაქტიკა;
- მატერიალური რესურსების განახლების მაჩვენებლები;
- ინტერვიუს შედეგები.

4. ხარისხის უზრუნველყოფა

4.1 შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფა

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, რესურსების, დოქტორანტის მხარდამჭერი მექანიზმების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება სადოქტორო პროგრამის, უსდ-ს საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ფასდება პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობა და შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას სადოქტორო პროგრამისა და კვლევითი გარემოს გაუმჯობესების მიზნებისთვის;
- სადოქტორო პროგრამის განვითარების მიზნით, სადოქტორო პროგრამის განხორციელების შეფასებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (დოქტორანტი, კურსდამთავრებული, პერსონალი, დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, დამსაქმებელი და სხვა).

ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამაზე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, რესურსების, კვლევითი გარემოს შეფასებისა და განვითარების ინსტრუმენტები და მათი გამოყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის, ანალიზის შედეგად განხორციელებული ღონისძიებები;
- პროგრამის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულების/ვერ დასრულების მაჩვენებლები და მათი ანალიზი;
- ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის საქმიანობის შეფასების შედეგები, ანგარიშები;
- განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება და შეფასების შედეგად განხორციელებული აქტივობები;
- ინტერვიუს შედეგები.

[i]

[i] აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული უცხოური საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების ჩამონათვალი, რომელშიც ინდექსირებულია რეფერირებადი (peer-reviewed) ჟურნალი, განისაზღვრება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.